

140  
1960

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



პიონერი 10  
1960

# პიონერული ორგანიზაციის დახმარება!


პიონერული ორგანიზაცია

## ხელი მოჰკიდეთ ახალ სასახლო საქმეებს

**ვ. ი. ლენინის** სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს მიმართვა

### საქართველოს ყველა პიონერისადმი

ღიად და ამაღლებებელ დღეებს განიცდით, ბავშვებო! ახლოვდება ორი დიდი დღესასწაული—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 40 წლისთავი და ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავი. ყოველი თქვენგანის სურვილია შრომასა და სწავლაში ახალი წარმატებებით შეეგებოს დიდ ზეიმს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს „პიონერულ ორწლედში“. ბევრი, ძალიან ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი, ბავშვებო! საქართველოს პიონერული ორგანიზაცია შეფობას იღებს ჩვენი რესპუბლიკის მზიდველად „ღიად ქიმიკა“ რუსთავის ქაპროლაქტამის ქარხნის ასაბეზად და მანქანა-დანადგარების დასამზადებლად.



შეაგროვეთ 15.000 ტონა ლითონის ჯვართი, რომ თქვენი პიონერული წვლილიც იყოს შვიდწლედის ამ დიდი საწარმოს მშენებლობაში.

უფრო ფართო დახმარება გაუწიეთ უფროსებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვი მოსავლის მოყვანაში.

შეჰქმენით რაზმეულებში მეფრინველეობისა და მეკურდღლეობის ფერმები. იკისრეთ ახალ მოზარდულის შეფობა და ჩააბარეთ სამშობლოს არანაკლებ 100.000 ფრთა ფრინველი.

ყველა რაზმეულში შეჰქმენით საფუტკრე და ჩააბარეთ სამშობლოს 10.000 კგ. თაფლი. დაე, ყოველ რაზმეულს სახელისა და ღირსების საქმედ მიაჩნდეს თავისი წვლილი შეიტანოს მეფუტკრეობის საბჭოთა მეურნეობა „პიონერის“ შექმნაში, რომელსაც საძირკველი ჩაეყრება 1962 წლის მაისში.

შეჰქმენით კაკლის სანერგეები და კაკლის ხეივანებით დაამშვენეთ გზატკეცილები და სოფლის გზები.

შეაგროვეთ 1961-62 წლებში და სამშობლოს ჩააბარეთ 1000 ტონა გარეული ხილი. ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა ახალ სასახლო გამარჯვებას მიაღწიეს—მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 146000 ტონა ჩაის მწვანე ფოთლი.

ჩაის მწვანე ფოთლის უხვი მრავალისათვის ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სასახლო საქმეა. ჩაის პლანტაციებში უფროსებთან ერთად აქტიურად შრომობენ პიონერებიც. მოდით ახალი პიონერული წვლილი შევიტანოთ „მწვანე ოქროს“ მოყვანაში—მონაწილეობა მიიღეთ ჩაის პლანტაციების მეჩხერაინობის წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობაში! დაე, ყოველმა პიონერმა მოკრიფოს 200 კგ. ჩაის მწვანე ფოთლი ან ახაროს 3 ძირი ვაჭი, 5 ძირი ხეხილი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხეხილის მავნებლებთან ბრძოლაში.

ჩვენმა უფროსმა მეგობრებმა—კომკავშირელებმა ლაშქრობა გამოაცხადეს სოფლის მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციისათვის. პიონერებს ყოველთვის აჩვენიათ მხარში ელგან კომკავშირელებს და აი, მოდით შევქმნათ მესამე საფეხურის პიონერთა ბრიგადები, რომლებიც უფროსებს დაეხმარებიან ელექტრო და რადიოხაზების გაყვანაში. „პიონერული ორწლედის“ დაწყების დღეს, 2 ოქტომბერს, დღის 11 საათზე, სპეციალური რადიოგადაცემის წინ ჩვენი რესპუბლიკის ყოველ რაზმეულში მოეწყობა საზეიმო „ჩაჯი“.

ამავე დღეს მოაწყეთ შაბათობა ლითონის ჯვართის შესაგროვებლად, ხეების დასარგავად, მშობლიური ქალაქისა და სოფლის დასამშვენებლად.

მოუწყეთ შეხვედრები ძველ კომუნისტებს—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ვეტერანებს, ყოფილ პიონერებს, ჩვენი სამშობლოს სასახლო აღამიანებს.

აანთეთ პიონერული კოცონები, გამართეთ სასკოლო პიონერული ზეიმები.

დაე, მთელ რესპუბლიკას მოეფინოს იმ სასახლო საქმეების ამბავი, რომლებიც ღიადი დღესასწაულების აღსანიშნავად წამოიწყეს ნორჩმა ლენინელებმა.

ნორჩო პიონერებო! ხელი მოჰკიდეთ ახალ სასახლო საქმეებს სწავლასა და შრომაში, ახალი წარმატებებით უზარულხეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ზრუნვას. კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭო.



# პ ი თ ე რ ი



საქართველოს ალკა  
ცენტრალური კომიტეტისა  
და ვ. ი. ლენინის  
სახელმწიფოს ნორმ  
პრონორმა ორგანიზაციის  
რედაქციური საბჭოს  
შრომითური საბავშვო  
ქარნალი



ოქტომბერი  
1960

გამოცემის წელი  
XXXIV

## შინაარსი

ხელი მოგვიდოთ ახალ სასახელო საქმეებს . . . . . გარეკანის . . .	2
ნ. ფაილოძე — „მეგობრობის ბანაკი“ მესტიაში (ნარკვევი) . . . . .	2
ს. სხირტლაძე — ქართველი ერის დიდი განმანათლებელი (წერილი) . . . . .	5
„დედა ენის“ ფურცლებიდან . . . . .	8
ს. აბულაძე — აკაკი და იაკობ გოგებაშვილი (წერილი) . . . . .	10
მ. ბოლქვაძე — გადაუხდელი ვალი (წერილი) . . . . .	11
ეპიზოდები ი. გოგებაშვილის ცხოვრებიდან . . . . .	12
გ. აბრამიშვილი — ლექსიკონი (მოთხრობა) . . . . .	13
რატომ ვამბობთ ასე . . . . .	14
ზ. მეგრელიშვილი — მშობლურ გზებზე (დღიურები) . . . . .	15
ო. ჭელიძე — მწვანე მებამრიდი (პოემა) . . . . .	18
გ. გოგიაშვილი „ჩანგი“ (წერილი) . . . . .	21
ა. მორავია — განძი (მოთხრობა, თარგმან. სამუკაშვილმა) . . . . .	22
ოცნება სრულდება (წერილი) . . . . .	26
ზ. პეტროვა — დოყლაპია მუზეუმში (ლექსი. თარგმან. დ. ცაგარელმა) . . . . .	27
სპარსული არაკები . . . . .	28
საინტერესო თემაზე . . . . .	29
მეცნიერების გადაუჭრელი პრობლემები . . . . .	30
ტექნიკის სამყაროში . . . . .	30
რ. ბერაძე — შემოდგომა (ლექსი) . . . . .	30
მოკლედ ყველაფერზე . . . . .	32
თავისუფალ დროს . . . . . გარეკანის . . .	3




ქურნალი დასურათებულია მხატვრების: გ. თოთიბაძის, ე. ამბოკაძის, მ. ჯაუშვილისა და ნ. შალიკაშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგანი  
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე,  
რ. ელანიძე, მ. ლეზანიძე (პ/მგ. მდივანი),  
მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი  
(სამხატვრო რედაქტორი).





# გაგონებულობის განახალი განახალი



# 1. ასე დაიწყო

სამამულო ომის მრისხანე დღეებში, სვანეთის მოსახლეობის მიერ შეგროვილი თანხით წყალქვეშა ნავი აიგო, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი იაროსლავ იოსელიანი მართავდა. ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს, გმირი მშობლიურ კუთხეს — სვანეთს ეწვია.

გაიხარეს მესტიაში. ვინ არ მოუწყო შეხვედრა, სად არ მიიწვიეს, და მესტიელმა პიონერებმაც გაუმართეს საღამო. გმირმა ბევრი რამ უამბო ომის მძიმე დღეებზე, თავის მოსკოველ და ტუშინოელ თანამებრძოლებზე. გმირთან საუბარში პიონერებმა ამ ქალაქების პიონერებთან დამეგობრების სურვილი გამოთქვეს. გაიგზავნა წერილები მოსკოვსა და ტუშინოში. საბჭოთა კავშირის გმირი გახდა რუსი და მესტიელი ბავშვების მეგობრობის წამომწყები.

მეგობრულ მიმოწერას 1953 წელს პირადი ნაცნობობაც დაერთო. ცირა გირგულიანი იყო პირველი მესტიელი, რომელიც სვანი პიონერების სახელით ტუშინოს ეწვია.

# 2. ზეიმი მოსკოვიდან იწყება

ტუშინოს, თბილისის, მესტიის პიონერთა „მეგობრობის შტაბში“ ყოჩაღი ბავშვებია. ტუშინოს თერთმეტი სკოლის წარმომადგენელია მათ შტაბში. თითოეულ რაზმეულს თავისი წარმომადგენელი ჰყავს: კორეს-პონდენტი, ფოტოგრაფი, ჯგუფის უფროსი...

უამრავი საქმე აქვთ შტაბის წევრებს. ყველაფერს ახალს, პირველად „მეგობრობის შტაბი“ იგებს. შემდეგ კი მისი წევრები რაზმეულს გადასცემენ.

ხშირად ასე ხდება ხოლმე: ერთი შტაბი მოიფიქრებს რაიმე კარგ საქმეს, სხვები მას ეხმარებიან. თბილისელებმა სამოქალაქო ომის გმირ ვასილ კიკვიძეზე გადაწყვიტეს მასალების შეგროვება, გაიგეს თუ არა ეს ტუშინოელებმა, იმ წამსვე დატრიალდნენ და მთელს ქალაქში დაგზავნეს თავიანთი „მზვერავები“.

მოძებნეს კიკვიძის თანამებრძოლები, მოაწყეს მათთან შეხვედრები, გადაიღეს ფოტოსურათები, რომლებიც შემდეგ თბილისელ მეგობრებს გამოუგზავნეს.

წელს 20 ქართველი პიონერი ჩავიდა მოსკოვში. არც ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი არ დაუტოვებიათ უნახავი, თითქმის მთელი საქართველო ფეხით აქვთ შემოგვილი და ახლა მშობლიურ მესტიაზე ნაკლებად როდი იცნობენ სვანი პიონერები ტუშინოს.

მოსკოვი — ტუშინო — თბილისი — სვანეთი — ასეთი იყო მეგობრების მარშუტი.

მოსკოვში, მეგობრობის 15 წლისთავი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საქართველოს პავილიონში აღნიშნეს, იქიდან კი პირდაპირ ვაგანკის სასაფლაოზე წავიდნენ და გვირგვინებით შეამკეს სამოქალაქო ომის გმირის ვასილ კიკვიძის საფლავი; დანარჩენი დღეები კი მოსკოვიდან დაშორებით, პიონერთა ბანაკ „ლასტოჩკაში“ გაატარეს.

# 3. „ლასტოჩკაში“

ათი დღე ისმოდა რუსულ-ქართული სიტყვები „ლასტოჩკაში“; როლანდი აფრთხილებდა ელვერდ ცინდელიანს — არ შეგვარცხვინო, მესტიელი სპორტსმენების სახელით გამოდიხარო. ელვერდს 60 მეტრზე სირბილში უნდა მიეღო მონაწილეობა. ისიც ღელავდა. ასაღელვებელიც იყო, არ უნდოდა ახალ მეგობრებთან თავი შეერცხვინა. ელვერდ ცინდელიანი ბანაკის ჩემპიონი გახდა 60 მეტრზე სირბილში.

საქართველოსაკენ მოეჩქარებოდათ. მოსკოვში დაწყებული ზეიმი აქ უნდა გაგრძელებულიყო. წამოსვლისას ბანაკში მეგობრობის ხე დარგეს თბილისელმა და მესტიელმა პიონერებმა.

# 4. თბილისში

პიონერთა და მოსწავლეთა პარკი მეგობრების ტრადიციული შესაკრები ადგილია თბილისში. მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე აქ მოიყრიან ხოლ-

მე თავს. წელსაც ასე იყო პარკში თბილისელი პიონერები თბილისური ვარდები მიართვეს სტუმრებს. სტუმარ-მასპინძლები სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს.

თბილისელმა ვაჟა ქარჩავამ, რომელიც მეხუთედ მონაწილეობს მოსკოველ, ტუშინოელ და მესტიელ პიონერთა მოგზაურობაში, დაწვრილებით უამბო თანატოლებს ამ დიდ მეგობრობაზე.

პარკში, მეგობრობის 15 წლისთავის აღსანიშნავად ტრადიციული კოცონი ავიზგიზდა.

— დღეს დღეზე ვითვლით, — ამბობდნენ ვაღია. ვალერი და მათი მეგობრები. — მესტიისაკენ გვეჩქარება.

იჩქაროდნენ იქითკენ, საიდანაც მათი მეგობრობა დაიწყო.

მეგობრობის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმიც მესტიაში უნდა დამთავრებულიყო.

სვანეთში ჩასვლამდე მეგობრებს, საქართველოს არც სხვა ადგილები დაუტოვებიათ უნახავი. ინახულეს მცხეთა, ბორჯომის ხეობა, ტყიბული და შაორი. შემდეგ კი ზუგდიდიდან მესტიისაკენ მიმავალ ულამაზეს გზაზე ჩქარი ენგური იყო მათი თანამგზავრი.

# 5. ხერგიანების კომპოზე

მესტიაში ჩასული სტუმრები სვანური კომპოზიციების სიმრავლემ გააკვირვა. კარვები ლენჯერში გაშალეს. ერთი სული ჰქონდათ, სანამ კომპოზე ავიდოდნენ.


იამზემ პირველ დღესვე შეუსრულა მეგობრებს ნატვრა და ხერგიანების კომპოში წაიყვანა.

— რა ხელმა აიტანა ასეთი უზარმაზარი ლოდები? — უკვირდა ვალერის.

ციცაბო კიბეს პირველ სართულზე აყვნენ, შემდეგ მეორეზე და მესამეზე. კიბემ სახურავზე აიყვანა ბავშვები.

კომპიდან ხელისგულივით მოჩანდა მესტია, მისი ათასფრად აჭრელებული მინდვრები.

კავკასიონის მაღალ მწვერვალებზე ოცნებობდნენ ხერგიანების კომპის თავზე შესკუპული ბავშვები.



— ჩვენ აქედანვე ვოცნებობთ ამ მწვერვალებზე ასვლას, ვეშალებით, ვვარჯიშობთ, დროს არ ვკარგავთ! — გაანდევს თავიანთი ფიქრები მესტიელმა პიონერებმა ძვირფას სტუმრებს.

— სკოლას მალე დავამთავრებთ, მაგრამ მეგობრობა კვლავ გვექნება; დავთქვამთ და კვლავ შევიყვებით. მეგობრობის ალამს აი, ამ მთაზე ავაფრიალებთ! — ასე შეთანხმდნენ სტუმარ-მასპინძლები და ეს აზრი ყველას მოეწონა.

### 6. უფროსებსაც დაეხმარნენ

საინტერესო და შინაარსიანი იყო „მეგობრობის ბანაკში“ გატარებული ყოველი დღე.

ერთხელ, ჯერ კიდევ დილის ნისლში, შეკედში ავიდნენ კანდიდ კვიციანი, ვალია პრუდნიკოვა და ათიოდე პიონერი ამ ბანაკიდან. მათ სათიბში მიეჩქარებოდათ. მეგობრები საჩუქარს უშვადებდნენ ლენჯერელ კოლმეურნეებს. კოლმეურნეობაში გახურებული თიბვა იყო და მუშახელი სჭირდებოდათ. იმ დღეს ბევრი მოთიბეს. ტუშინოელებს არ უჭირდათ ცელის მოქნევა, მხარდა-მხარ მიჰყვებოდნენ სვან პიონერებს. მთიბავეს, სათიბში მალე სამხარი ამოუტანეს მესტიის საშუალო სკოლის პიონერებმა.

სამუშაოზე მოსულ კოლმეურნეებს პიონერთა ნამუშევარი დახვდათ. შეაქვს ყოჩაღი პიონერები.

— კარგად მოუთიბავთ, — ამბობდნენ უფროსები.

### 7. გზა მშვიდობისა!

პაწვალის მთა შორს არ არის მესტიიდან, მაგრამ იქ ასვლა არც ისე ადვილია — სამი ციცაბო აღმართი უნდა აიარო.

ნორჩ ტურისტებს იქ ასვლა არ გაჭირვებიათ.

პაწვალიდან ხელისგულივით მოჩანს მესტია თავისი უბნებით: ლანჩავალი, ლეხთავი, ლალამი, სეტი და ახალშენი.

პაწვალიდან ორი ძირი ნორჩი ნაძვის ხე წაიღეს სოფელ ლენჯერში, დასარგავად. ისინი ტუშინოელებმა დარგეს, ისე, როგორც ეს „ლასტოჩკაში“ სვანებმა გააკეთეს.

გამოსათხოვარ საღამოზე კვლავ აგუზგუზდა კოცონი. გული წყდებათ მეგობრებს: ორი თვე ისე შეეჩვივნენ ერთად ყოფნას, თამაშსა და მოგზაურობას, რომ განშორება ეძნელებოდათ.

იმ საღამოს 15 ჩირაღდნით ხელში, სიმღერით შემოიარეს მესტია. დილით, ზუგდიდისაკენ მიმავალი

მანქანა ყვავილებით მოერთოთ მასპინძლებს.

— გზა მშვიდობისა! — მისძახოდნენ მეგობრებს მესტიელი პიონერები.


ათი დღე დაყვეს სვანეთში, ბავშვთა რესპუბლიკური საექსკურსიო ტურისტული სადგურის თაოსნობით განხილ „მეგობრობის ბანაკში“. ბევრი რამ ნახეს და გაიგეს. მეგობრობის 15 წლისთავის აღნიშვნა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ბავშვებთან ერთად დიდებიც ზეიმობდნენ.

„მეგობრობის შტაბის“ უფროსები: ტანია ეგოროვა, დათო კუჭაიძე და იამზე გირგვილიანი უკვე მომავალ გეგმებს აწყობენ.


ერთად ყოფნით, მეგობრული მიმოწერით იწრთობა და მტკიცდება ტუშინოელ და მესტიელ პიონერთა მიერ წამოწყებული მეგობრობა.

ნ. ფაილოძე

ნახატები თ. სამსონაძისა



# ქართული ერის დიდი განმათავებელი



იაკობ გოგებაშვილი

პატარა, მაგრამ ლამაზი და მიმზიდველია ის სოფელი, სადაც დიდი პედაგოგის აკვანი დაირწა. რევოლუციამდელ ვარიანზე, მის გეოგრაფიულ და ეკონომიურ ვითარებაზე მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს ოდესღაც სასიმღეროდ გადაქცეული სიტყვები: «გარიანი, ვალიანი, უტყუო და ქარიანი».

გორის მაზრის ამ სოფელში 1840 წლის 27 ოქტომბერს, ხელმოკლე მღვდლის ოჯახში დაიბადა მომავალი პედაგოგი. ოჯახის წევრები და ახლო მეზობლები პირველი მაგალითი იყვნენ პატარა იაკობისათვის იმისა, თუ რა ნაყოფი შეუძლია მოუტანოს ადამიანს დაუცხრომელმა შრომამ და გარჯამ.

9 წლის იაკობი თბილისში ჩამოიყვანეს სასწავლებლად. 1855 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1861 წელს—სასულიერო სემინარია.

ზომავალი პედაგოგი ბავშვობის წლებიდანვე განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა ქართულ მწერლობასა და სამშობლო ქვეყნის გმირულ ისტორიას, მის სახელოვან ადამიანებს.

თავისი ქვეყნის ეს სიყვარული იაკობს თან გაჰყვა შორეულ კიევში, სადაც იგი უმაღლესი ცოდნის მისაღებად გაემგზავრა 1861 წელს. თუმცა ი. გოგებაშვილმა კიევში ორიოდე წელი დაჰყო, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საფუძვლიანად გასცნობოდა პედაგოგიკის მსოფლიო კლასიკოსთა, კერძოდ, პიროგოვისა და უშინსკის ძვირფას მემკვიდრეობას, მიეღო ღრმა და ვრცელი ფილოსოფიური განათლება.

1863 წელს იაკობი ავადმყოფობის გამო საქართველოში ბრუნდება და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებული პედაგოგიურ სარბიელზე იწყებს მოღვაწეობას. იგი ასწავლიდა გეოგრაფიასა და არითმეტიკას ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სემინარიაში. უაღრესად ნაყოფიერი იყო დიდი პედაგოგის პირველი ნაწიჯები. მან ღრმა კვალი გააყვლო სემინარიის სასწავლო-სააღმზრდელო სისტემაში.

იაკობ გოგებაშვილმა სამართლიანად დაიმსახურა პედაგოგიკის დიდი კლასიკოსის სახელი. დაბრუნდა თუ არა კიევიდან სამშობლოში, ი. გოგებაშვილი მაშინვე შეუდგა დიდ ეროვნულ საქმეს: საკითხავი წიგნებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენას.

ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი კარგად ხედავდა, რომ ცარიზმი მტრულად ეკიდებოდა განაპირა მხარეებს, ახშობდა პატარა ხალხების კულტურას, სდევნიდა მათ ენას. დამამცირებელ ზედრს ვერც იაკობის სამშობლო—საქართველო გადაურჩა. მეფის მოხელეთა თავგასულობამ იმ ზომამდეც კი მიადწია, რომ მძიანი წლების სასწავლო გეგმით ქართული ენა სავსებით იქნა გამოძევებული სკოლებიდან.

რათა მომავალი თაობები სრული გადაგვარებისაგან ეხსნა, რათა უმდიდრესი და უმშვენიერესი ქართული ენა არავის წაქეზილწა, იაკობ გოგებაშვილმა გადაწყვიტა მთელი ძალით დაეცვა და გაეპატიოსნებინა ეს უპირველესი «ბუჯი ეროვნებისა». მისი შრომა «ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი», განკუთვნილი სახალხო სკოლებისათვის, ქართულ საზოგადოებას პირველად მოევიწინა 1865 წელს.

დიდი პედაგოგის მიერ შედგენილი საკითხავი წიგნებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ასაკისათვის სხვადასხვა დროს გამოცემული: «კუნწულა», «ხომლი», «აკიდო», «კოკორი»,



«მოსავლის მცველნი» და მრავალი სხვა. მათში თავმოყრილი მასალა, გადმოცემული იშვიათი მხატვრული ენით, ხელს უწყობდა ახალგაზრდობის გონებრივ განვითარებას, გარემომცველი სამყაროს გაცნობა-შესწავლას.

ყველაზე დიდი მოვლენა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ნამდვილად იყო ი. გოგებაშვილის შესანიშნავი სახელმძღვანელო «ბუნების კარი»—ეს ჭეშმარიტად პოპულარული ენციკლოპედია ცოდნისა და მეცნიერების



ი. გოგებაშვილის სავარძელი

თითქმის ყველა განშტოებისა. «ბუნების კარი», რომელიც 1868 წელს გამოიცა და ავტორის სიკვდილამდე ბევრი შეესება-გადამუშავება განიცადა, ათეული წლების მანძილზე ასაზრდოებდა ქართველი ხალხის, მისი სიცოცხლის დაუშრეტელი ნაკადის—მომავალი თაობის სულსა და გულს.

ეს იყო არა მარტო სწორუბოვარი სახელმძღვანელო, არამედ წარმტაცი, ფართო ცოდნის მომცველი, სკოლის გარეშე საკითხავი წიგნი, რომელიც ყველა ქართველის საოჯახო ბიბლიოთეკას დღესაც ამშვენებს.

«ბუნების კარში» შეტანილი მასალები, რომელთა უმრავლესობა თვითონ დიდებული პედაგოგის კალმის ნაყოფია, ათეული წლების მანძილზე ზრდიდნენ მომავალ თაობებს და კვლავაც აღზრდიან პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, პატიოსნების, შრომისმოყვარეობისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და სულისკეთების მაღალი გრძნობებით.

თავისი დიდი მოვალეობა და სიყვარული ქვეყნის წინაშე, გამოჩენილმა პედაგოგმა, კიდევ ერთი სახელმძღვანელოთი დააგვირგვინა. ეს იყო ქართველი ხალხის გულიდან მოუშორებელი, მომავალი თაობის სულის ჩამდგმელი, მისი აზრისა და გონების მასაზრდოებელი. ლალი და ბარაქიანი ძუძუ—«დედა ენა».

«დედა ენა», რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, დიდმა პედაგოგმა ღრმა დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით ეროვნულ მოთხოვნილებათა შესაბამისად აავტო.

ქართველი ხალხის სულიერი კულტურის, მისი ენისა და ზნე-ჩვეულების შესათვისებლად, მე-19 საუკუნის II ნახევარში არ ყოფილა უფრო ანკარა წყარო, ვიდრე იყო «დედა ენა» და «ბუნების კარი».

არ იქნებოდა გადაჭარბებული, თუ ვიტყვოდით: მთელი თავისი სიდიადით იაკობ გოგებაშვილის «დედა ენა», «ბუნების კარი» მსოფლიო პედაგოგიკურ ქმნილებათა ოქროს ფონდს მიეკუთვნება. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ გადამუშავებული სახით იაკობის «დედა ენა» დღესაც მომსახურებას უწევს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას.

უკვდავი პედაგოგის სახელმძღვანელოების სწორედ ეს უდიდესი მნიშვნელობა პქონდა მხედველობაში «ქართული პოეზიის იალბუზს» (იაკობის გამოთქმა) აკაკი წერეთელს, როცა წერდა: «დარჩება სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და, ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იწოდება».

იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ენის, საერთოდ, უცხო ენების შესწავლას. დიდ პედაგოგს მიაჩნდა, რომ ამ ენების დახმარებით ქართველი ახალგაზრდობა უფრო ახლო გაიცინობს საკაცობრიო კულტურას.

1887 წელს გამოვიდა ი. გოგებაშვილის «რუსკოე სლოვო»—რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული დაწყებითი სკოლებისათვის.

ამ წიგნის დახმარებით რევოლუციამდელმა ქართველმა ახალგაზრდობამ ჩინებულად შეისწავლა რუსული ენა, მისი ფორმები და თავისებურებანი.

\* \* \*

არ დარჩენილა არც ერთი კუნძული ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისა, რომლითაც დიდი პედაგოგი არ დაინტერესებულყო, თავისი დინჯი და დასაბუთებული სიტყვა არ ეთქვა.

როგორც მშობელი ქვეყნის დიდი მოამაგე, იაკობი ფართო საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მოღვაწეობასაც ეწეოდა: ილიასთან ერთად ი. გოგებაშვილმა დიდი ამაგი დასდო მე-19 საუკუნის უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციას—ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.



იაკობმა, ერთმა პირველთაგანმა, დაიწყო მხურვალე პროპაგანდა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა იაკობი გაჭირვებაში მყოფი მწერლების, მასწავლებლების, მოსწავლეების მიმართ. მატერიალურ დახმარებას უწევდა იგი სკოლებს, სამკითხველოებს, ქართულ თეატრს და სხვა დაწესებულებებს.

ცალკე დაფასების ღირსია გამოჩენილი პედაგოგის დეაწლი და დამსახურება საბავშვო ლიტერატურის დარგში. ამ მხრივ, იგი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საბავშვო მწერლობის ფუძემდებელთაგანია. მისი საბავშვო მოთხრობები დაწერილია სადა, წარმტაცი ენით.

ვის არ წაუუთხავს გოგებაშვილის «იანანამ რა ჰქნა», «მეფე ერეკლე და ინგლო ქალი», ასპინძის ომი», «თავდადებულნი ქართველნი» და სხვ.

ეს მოთხრობები, რომელთა უმრავლესობა იაკობის უკვდავ სახელმძღვანელოებში არიან შეტანილნი, ქართველ ახალგაზრდობაში ათეული წლების მანძილზე ზრდიდნენ პატრიოტიზმის გრძნობას, პირდაპირობას, მტრისადმი შეურიგებლობას, სამშობლო ქვეყნისადმი, მისი გმირული ისტორიისადმი უღრმეს სიყვარულს. ამავე მოთხრობებში გასაოცარი ძალით სჩქეფს ჰუმანიზმი, პატივისცემა სხვა ერებისადმი, მთელი კაცობრიობისადმი. «ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას», თვითონვე იტყოდა ხოლმე დიდი პედაგოგი.

ენის მხრივ, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები და საბავშვო მოთხრობები დაწერილი არიან ერთიანი, სალიტერატურო ენის ნორმების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

მომავალი თაობისადმი უსაზღვრო სიყვარულზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ დიდი პედაგოგის ინიციატივითა და დახმარებით იწყო გამოსვლა პირველმა საბავშვო ჟურნალმა «ნობათმა»—1883 წელს.

იაკობმა წამახალისებელი რეცენზია მიუძღვნა «ჯეჯრლის» პირველ ნომერს.

იაკობ გოგებაშვილის დახმარება საბავშვო მწერლობის წინაშე უაღრესად დიდი და მრავალფეროვანია.

მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, თავის მოვლით და საყოფაცხოვრებო რეჟიმის ზუსტი დაცვით, დიდმა პედაგოგმა 72 წლამდე იცოცხლა.

მთელი თავისი მოწოდებით და ბუნებით იგი სამშობლო ქვეყნის უმწიკვლო მსახურად იშვა და ასეთად ჩავიდა სამარეში 1912 წლის ოქტომბრის თვეში.



იაკობ გოგებაშვილის საწოლი ლოგინი.

ეს უსაზღვრო სიყვარული ი. გოგებაშვილს დაუმკვიდრებია სამაგალითო ადამიანურმა თვისებებმა, თავისი დროისათვის ფრიად ნაყოფიერმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ და იმ ფასდაუდებელმა პედაგოგიურმა მემკვიდრეობამ, რომელზედაც ხანგრძლივი წლების მანძილზე იზრდებოდა და მომავალშიც აღიზრდება მრავალი თაობა.

იაკობ გოგებაშვილის სახელი ყოველთვის მოკრძალებით წარმოითქმება მე-19 საუკუნის იმ რჩეულ ადამიანთა გვერდით, ვინც ისტორიული ბედუკუდმართობის გამო მიძინებული ქართველი ხალხის სულსა და გულს მოძრაობა მისცა, გამოადვიდა, აამოქმედა, მტერ-მოყვარე დაანახვა, სამშობლო ქვეყნის გმირული წარსული შეაყვარა, საზარელი აწმყო შეაძულა და უკეთესი მომავლის რწმენით გული გაუსალკლდევა.

თუ ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის უმკაცრეს წლებში ეროვნული მეობა შეინარჩუნა, ქართული ენა და მამა-პაპური ზნე-ჩვეულებანი შეუბღალავად შემონახა, ამას ბევრ რამეში ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ მამულიშვილსა და მოაზროვნეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ დიდ მოღვაწეს—იაკობ გოგებაშვილს.

ამიტომაც, რომ საბჭოთა საქართველო წელს ზეიმით იხდის მნიშვნელოვან თარიღს—120 წლისთავს დიდი განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან.

სიმონ სხირბლაძე

**აკაკი** წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს ფაქიზი, უნაზესი მეგობრობა აკავშირებდა ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს თუნდაც მათი მიმოწერა. აი, რამდენიმე ამონაწერი აკაკის წერილებიდან იაკობისადმი:

„... წარსულის შვილო, მობავლის მამავ და მყობადის გადიავ, ძმაო იაკობ!“...

„... კურთხეულ იყოს არა მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც“...

1908 წელს იაკობმა თავის „საიუბილეო სალამში“ ასე მიმართა მგოსანს:

„ორმოცდაათი წლის განმავლობაში თქვენი გენიალური მუზა განუწყვეტლივ, შეუსვენებელივ ემსახურებოდა მხოლოდ ერთადერთს მაღალს დანიშნულებას: სამშობლოს აღდგენას, ამალლებას, აყვავებას. ეკლიან გზას არც ერთხელ არ შეუდრეკია თქვენი მამულიწვილობით აღსავსე გული“. სამშობლოს აღდგენის ამ ეკლიან გზაზე, იაკობ გოგებაშვილთან ერთად, დიდი აკაკი წელთა განმავლობაში მონაწილეობას იღებდა „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ შედგენა-გაუმჯობესებაში. ლექსები: „გაზაფხული“, „გაზაფხ-

# აკაკი და იაკობ გოგებაშვილი

ხულის მაყრები“, „ყმაწვილი და პეპელა“, „ჩემი თხა“. ჩიტი გალიაში“, „შრომა“, „ეფერებოდეთ ობლებსა“ და სხვები „დედა ენის“ ფურცლებზე ამოიკითხეს და შეიყვარეს; ზეპირად ისწავლეს ქართველმა ბავშვებმა.

საინტერესოა კიდევ ერთი ამბავი, რომელიც იაკობ გოგებაშვილისა და აკაკის ურთიერთ გავგებაზე, მათ შეთანხმებულ შრომაზე მოგვითხრობს.

იაკობის ზოგ ლექსს „დედა ენაში“ აკაკიმ გაუკეთა რედაქცია. აი, ის ლექსებიც: „ყანა“, „თხა“, „მახეში გაბმული ჩიტი“ და სხვ. გოგებაშვილმა საჭიროდ ცნო, რომ მისი ლექსები უფრო მსუბუქი, სადა და ნორჩი გკითხველისათვის ადვილად ასათვისებელი ყოფილიყო. მან აკაკის მიმართა და არც შემეცდარა. დიდ-

მა მგოსანმა თავისი ხელი იყ დაატყო ამ ლექსებს. მათგან ზოგი მათგანი აკაკის „საქმიანო“ ლექსადაა მიჩნეული. იმის ნიშნულად, თუ შემდეგ გამოცემებში როგორ გაამშვენებია აკაკიმ ეს ლექსები. ვავისხნოთ ზოგიერთი მათგანი:

„მახეში გაბმული ჩიტი“ (1876 წ.) ასე იწყება:

«ეჰ, გაბი, ჩიტო ლამაზო,  
ჩენს დაგებულსა ძუს მახეში.  
აღარ გავიშვებთ, ცქვიტო, მალხაზო,  
რაკი ჩავარდი შენ ჩვენსა ხელში».

შემდეგ გამოცემებში კი აკაკის მიერ რედაქციაქმნილი ეს ლექსი ასე იწყება:

«გაბმულხარ, ჩიტო მახეში,  
გაჩერდი, ნულარ ფრთხილობ!  
ჩვენი ხარ, ვერსად წავგიხვალ,  
დავვიმორჩილდი, რას წვალობ?»

იგივე ითქმის ლექსზე: „თხა“. მისი პირველი სტროფი ასე იწყებოდა:

«ჩემსა ბებიას ერთი თხა ჰყავდა,  
კიკინა ბებოს ძლიერ უყვარდა».

„დედა ენის“ შემდეგ გამოცემებში უკვე თქვენთვის ცნობილი, აკაკისეული სტრიქონებია:

«ერთი თხა ჰყავდა ბებია,  
ცქვიტი, მარდი და პატარა;  
თავს ევლებოდა, პატარას,  
უყვარდა წვერებ-ცანცარა»..

აკაკის ლექსებს „დედა ენაში“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ. იგი ასწავლიდა და აყვარებდა პატარებს მშობლიურ ენას, მის სილამაზეს. აკაკის ორიგინალური, რედაქციაქმნილი თუ ნათარგმნი ლექსები უნერგავდნენ პატარებს მამულის სიყვარულს, ბუნების გაცნობის სურვილს, შრომის სიხარულს, სამართლიანობას, თავისუფლების წყურვილს, ღარიბებისა და ობლებისადმი თანაგრძობას...

სახლი სოფელ ვარიანში. ამ სახლში დაიბადა იაკობ გოგებაშვილი აქ გაატარა მან ბავშვობის წლები.



# ბადაუსდელი ელი



იაკობ გოგებაშვილი პირადად არ იცნობდა ეგნატე ნინოშვილს, წაკითხული ჰქონდა მხოლოდ მისი რამდენიმე ნაწარმოები და დიდ იმედს ამყარებდა მასზე.

1894 წელს ჟურნალ «კვალში» დაიბეჭდა ე. ნინოშვილის ახალი მოთხრობა «ჩვენი ქვეყნის რაინდი», რომელმაც ყველა აალაპარაკა. ეს ნაწარმოები ძალიან მოეწონა იაკობ გოგებაშვილს. იგი მოთხრობის წაკითხვისთანავე გაეშურა «კვალის» რედაქციაში და ანასტასია და გიორგი წერეთლებისაგან გაიგო სამწუხარო ამბავი: თურმე ეგნატე ნინოშვილი ამ დროს უკვე სარეცელზე იყო მიჯაჭვული, ჭლექით დაავადებულს სამკურნალო ფული არ გააჩნდა... იაკობმა მაშინვე მოითხოვა ეგნატეს მისამართი და მის მეგობრებს გაუმხილა, რომ მას სურდა ავადმყოფს სასწრაფოდ დახმარებოდა ფულით. იაკობი გაოცებული დარჩა, როცა ეგნატეს მეგობრებმა უთხრეს, მიუხედავად ამგვარი გაჭირვებისა, მწერალი კერძო პირებისაგან დახმარებას არ ლებულობსო. მაშ რაღა ექნა გოგებაშვილს, ჭირში მყოფ ადამიანს დახმარების გარეშე ხომ ვერ მიატოვებდა? მან დიდხანს იფიქრა ამაზე და ჭკვიანურ ხერხს მიმართა. აი, როგორი წერილი მისწერა მან ავადმყოფ მწერალს:

«ჩემი წიგნების გამომცემელი მზად არის გამოსცეს თქვენი თხზულებანი ცალკე ტომად... ვიდრე თქვენ ავად ხართ, ყოველთვე ჩემგან მიიღებთ სესხად ოცდახუთ მანეთს ამ სესხს მაშინ დამიბრუნებთ, როცა გამომცემლობისაგან მიიღებთ ჯეროვან პონორარსა. თქვენი უარი ამ ჩემი სესხის შესახებ ძლიერ საწყენად დამრჩება, თანხმობა კი ფრიად სასარგებლო იქნება».

დიდი პედაგოგის მიერ მოფიქრებულმა ხერხმა გასჭრა. 1894 წლის 11 თებერვალს, გულთბილ წერილთან ერთად, ეგნატემ მიიღო 50 მანეთი და, გახარებულმა ასეთი დიდი ადამიანის დაფასებით, მაშინვე მისწერა ვრცელი საპასუხო ბარათი. ამ საინტერესო ბარათიდან მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს:

„ბუნების კარი“ კიდევ უფრო მდიდარია აკაკის თხზულებებით. „გლახის გოდება“, „სიმღერა მკის დროს“, „ხატის წინ“, „გაზაფხული“, „ლამურა“, აკაკის მიერ კრილოვიდან გადმოქართულებული არაკები: „დათვის წვეულება“, „ბატები“, „მელა და ყურძენი“ „ბუნების კარის“ მკითხველთა სიყვარულს იმსახურებდა. „ბუნების კარშია“ აგრეთვე დაბეჭდილი ნაწყვიტები „ბაში-აჩუკიდან“ და „ჩემი თავგადასავალიდან“.

ამრიგად, აკაკი წერეთელი საგრძნობლადაა წარმოდგენილი „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ და მისი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული იაკობ გოგებაშვილთან. საჩხერედან აკაკი ხშირად სწერდა გოგებაშვილს ბარათებს და სთხოვდა, ჩამოდი, აქაური მშვენიერი ბუნებით დატკბი, საჩხერელი ბავშვები გაახარეო. მართლაც, დიდ მგოსანს ხშირად ეკითხებოდნენ პატარა

საჩხერლები გოგებაშვილის შესახებ. ამიტომაც იყო, რომ აკაკიმ სთხოვა იაკობს, შენი სურათი გამოგზავნე, ჩემს პატარა მეგობრებს ვუჩვენო.

ამ ორი დიდი ადამიანის მეგობრობა და უანგარო ღვაწლი ქართველი ხალხისათვის მარად საამაყო და მისაბაძი.



იაკობ გოგებაშვილი 1880 წელს.

«ჩემს უგულუთადეს მადლობას მოგახსენებთ მეგობრული თანაგრძნობით სავსე წერილისათვის, რომელმაც არა თუ მარტო გამამხნევა, არამედ ავადმყოფობიდან მორჩენის იმედიც კი მომცა. პირადად რომ ვერ მიცნობთ,



ამაში თუ ვინმეს ბრალი აქვს და საყვედური ერგება—ეს ისევე მე: მე ვიყავი ვალდებული მოვსულიყავი და გაგცნობოდი თქვენ, როგორც საუკეთესო ქართველ მოღვაწეს, როგორც მოწინავე პირს... ოღონდ პირად გაცნობაზე ვჩივი, თორემ ისე კი ვინ იქნება დღეს, წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ კი ვერ გიცნობდეს!

... დიდ მადლობას მოგახსენებთ, აგრეთვე, ფულის გამოგზავნისათვის, მხოლოდ გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ ეს ფული შემდეგში გადავიხადოთ.

... მართალია, ახლა რომ ჩემი თავის ამბავი ვიცი, ძლიერ დიდი ოპტიმისტი უნდა ვიყო, რომ მოვრჩები-მეთქი ვიფიქრო.

საყვარელი მწერლისაგან ასეთი პასუხის მიღებას იცოცხლებოდა გოგებაშვილს თავზარი დასცა, იგი მიხვდა, როგორ ეგნატეს საამქვეყნო პირი არ ჰქონდა.

და მართლაც, ამის შემდეგ რამდენიმე თვეა იცოცხლებოდა ეგნატე ნინოშვილმა. იგი ისე უდროოდ ჩავიდა სამარეში, რომ ვერ მოასწრო იაკობ გოგებაშვილის «ვალის» გადახდა. რა იცოდა მან, რომ დიდმა ჰუმანისტმა სესხი კი არ გაუგზავნა, არამედ ჭირში ჩავარდნილ მეგობარს დახმარების ხელი გაუწოდა, რომლის სანაცვლოდაც იგი არასოდეს არაფერს მოითხოვდა ეგნატე ნინოშვილისაგან.

მ. ბოლქვაძე

## ნაიზოლავი ი. გოგებაშვილის ხსოვნაში

იაკობ გოგებაშვილი 1900 წლის 19 აპრილს, ჯერ ლოგინიდან არ ამღვაროდა, როცა მსახურმა დილით ადრე გაზეთ „ივერიის“ ახალი ნომერი მოუტანა. იაკობმა ჯერ თვალი გადაავლო გაზეთს, იფიქრა, ავდგები და მთლიანად წავეითებავო.

აი, იაკობი გაზეთის პირველ გვერდს დააკვირდა და რას ხედავს: გაზეთის რედაქცია ქრონიკაში—„ახალი ამბები“ იუწყებოდა: „როგორც შევითქვით, იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის პატივისმცემელთ, მისდა პატივისცემად, მისი სალიტერატურო და პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის 35 წლის შესრულების გამო განუზრახავთ სადილი გამართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული“.

იაკობი აღშფოთდა: ეს როგორ, სადაური ამბავია? მე ამას ასე არ დავტოვებ. არ დავუშვებ. ახლავე წერილს მივწერ რედაქციას, ვთხოვ აუცილებლად დაბეჭდონ ქრონიკის პასუხად.

— როგორ?—ველარ ისვენებდა იაკობი,—ქართული ეროვნული ბურჟის, დიდი ილიას იუბილე ჯერ არ გადახდილა, ქართული პოეზიის იალბუზის (ასე ეძახდა იაკობი აკაკის) იუბილე ჯერ არ გაუმართავთ და ცდილობენ იუბილე მე მომიწყონ?

იაკობი ლოგინიდან წამოდგა, პირი დაიბანა და საწერ მაგიდას მიუჯდა. მის სახეზე ჯერ აღშფოთება არ დამცხრალიყო, როცა „წერილი რედაქტორის მიმართ“ დაამთავრა.

აი, ეს წერილიც: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინებია გამიმართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოგახსენებ, და გთხოვ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავის სადილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩავიღის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარი მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუკე-

თებიან. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“.


იაკობმა წერილი სასწრაფოდ გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში გაგზავნა, რედაქტორმა წერილი იმავე წლის 21 აპრილის ნომერში დაბეჭდა.

\* \* \*

1906 წელს ერთ დღეს იაკობ გოგებაშვილი სახლში ტრამვაით ბრუნდებოდა. ბილეთის ასაღებად იაკობს ხურდა ფული არ აღმოაჩნდა, ამიტომ კონდუქტორს ქალაღის ფული გადააწოდა. კონდუქტორმა ბილეთი და ხურდა ფული უკან დაუბრუნა, იაკობმა დაუთვლელად ჩაიღო ჯიბეში. როცა იგი სახლში დაბრუნდა, შემთხვევით ფული გადათვალა. აღმოჩნდა, რომ კონდუქტორს მისთვის ხუთი მანეთი მეტი გადაეყოლებინა.

იაკობი იშვიათი მეხსიერების პატრონი იყო. მან დაუძახა მსახურს და უთხრა: „აჰა, ეს ხუთი მანეთი, ჩაირბინე გოლოვინის პროსპექტზე და ამა და ამ ნომერ ტრამვაის კონდუქტორს გადაეცი და უთხარი: „იაკობ გოგებაშვილს დღეს თქვენი ტრამვაით უმგზავრია და, როცა ბილეთი მიგიყიდიან, ხურდა ფულზე ხუთი მანეთი მეტი გადაგიყოლებინათქო“. მსახურმა დაუყოვნებლივ შეასრულა იაკობის თხოვნა და ოთახიდან ისარივით გაიჭრა.

აი, ერთ დღეს, დილით, იაკობმა მიიღო ახალი გაზეთი „ტალღა“ და რას ხედავს: კონდუქტორს ამ გაზეთში იაკობისადმი მადლობის წერილი მოუთავსებია. აი ეს წერილიც: „მადლობას ვსწირავ ბატონ იაკობ გოგებაშვილს ჩემი გადაყოლილი ხუთი მანეთის უკან დაბრუნების გამო. ტრამვაის კონდუქტორი მელიტონ თურმანიძე“.



ბივი პრაქტიკული

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნახ. ე. ამბოკაძისა

**ი**მდღეს თენგიზს წავეჩხუბე. ჩემი ბრალი იყო, ის არ ტყუოდა. ჭადრაკს ვთამაშობდით, თენგიზმა ზედიზედ რამდენიმე პარტია მომიგო. მარცხი ვერ ავიტანე, გავცხარდი, გავწიწმადი, ჭადრაკის დაფას ხელი ავუქარი და მუცელში მუშტი ჩავცხე.

თენგიზი მოიღუნა და სუნთქვა-შეკრული უხმოდ დაეცა. შევეკრთი. უმაღლე ხელზე ვიკბინე და გამოვიქეცი. სახლში ისე მოვიბრინე, სული არ მომიტყვამს, ოთახში შევევარდი და კარი ჩავკეტე. ერთხანს ისე ვიდექი. გული ამოვარდნაზე მქონდა, შეშინებული ათას რამეს ვფიქრობდი. ოხ... ეს რა ჩავიდინე, რა დამემართა. თენგიზი რა შუაში იყო, რა დამიშავა. ძალიან კი არ დამირტყამს, მაგრამ, იქნებ... განაღა რამე გამეგებოდა: გავბრაზდი, ავენთე და უცბად ჩავცხე. ახლა რომ რამე დამემართოს, ჩასწყდეს რამე, ან გაუსკდეს, მერე?.. ნეტავ ჭადრაკი ჩემს დღეში არ მეთამაშა. ეგ არის, მორჩა, აღარც ვითამაშებ!..

კარგა ხანს ვიყავი ჩაკეტილი და დანაშაულს ვნანობდი. ყოველ წუთში ველოდებოდი, რომ დედამისი ატირებული მოვარდებოდა და დედაჩემს შესჩივლებდა: შენმა არგასახარელმა გიყმა შვილი მომიკლაო. თითქმის ერთი საათი გავიდა და ჩვენსა არავინ მოსულა, გავიდა ერთი საათიც

და შიშმა თანდათან გამიარა. ალბათ თენგიზი გადარჩა, ალბათ არც ისეა საქმე, როგორც მე ვფიქრობდი, თორემ აქამდე ქვეყანა აღრიალდებოდა.



გულმოცემული გარეთ გამოვედი და ეზოში გავიარ-გამოვიარე. მერე სათონეში შევედი, თოხი და ნამგალი ჩამოვიღე და ვენახისაკენ გავსწიე; მივდივარ და ამხანაგზე ფიქრი ერთი წუთითაც არ მშორდება. რა წყნარი და გულკეთილი ბიჭია თენგიზი! შვიდი წელია ერთად ვსწავლობთ და მისგან ჯერ უბრალო წყენაც არ მახსოვს. ჩემთან მეგობრობს. ვუყვარვარ და, განა რა დააშავა ისეთი, რომ გავარტყვი? ახლა რაღა ვქნა, როგორ შევხვდე, როგორ შევეურიფდე, არ ვიცი.

ლობის ძირებში ატეხილ ქანგას ვთბავ, თვალწინ მაინც ისევ თენგიზი მიდგას. ჭკვიანი, გულმართალი, ხმაამოუღებელი, არავისთვის არაფერს რომ არ დაიშურებს.

გზიდან სტვენა შემომესმა და ტყრუშულში გავიჭვრიტე. ამირანი მოდიოდა. როცა გამისწორდა, დავუძახე:

- ამირან!
- რომელი ხარ?
- ო, შოთა, შენა? — მოვიდა, ლობზე შედგა და გადმომხედა.
- სად მიხვალ?
- სახლში. რა გინდა?
- არაფერი, ისე დავიძახე.
- ახალი ამბავი გაიგე?
- რა? — შევეკითხე და გული როგორღაც უცნაურად შემეკუმშა: ალბათ თენგიზს რაღაცა დამართა მეტი.
- რა იყო, რაზე ვაფთორდი?
- მე? ნუ თუ? სრულიადაც არა! თქვი, რა... რა ახალი ამბავია?..



# რატომ ვამბობს სწორეთა

## გვიცნა

ეს სიტყვა არაბულია და ნიშნავს ჯოჯოხეთს. ძველი გადმოცემის თანახმად იერუსალიმის ახლოს ყოფილა ერთი ველი, სადაც ღვთისათვის შეწირულ ბავშვებს სწავებდნენ კოცონზე. ახლა ეს ტერმინი ჯოჯოხეთური წამების, ტანჯვისა და უბედურების შესატყვისად იხმარება.

## გოგი და მაგოგი

ეს გამოთქმა ბიბლიიდანაა. იხმარება უღმობელი, მკაცრი, პიროვნების მიმართ.

უძველესი ლეგენდის თანახმად, პალესტინაში ცხოვრობდა სისხლის მოყვარე გააგებული ტომი, რომელსაც მაგოგი ეწოდებოდა. მაგოგების მთავარს გოგი ერქვა. წინასწარმეტყველმა იწინასწარმეტყველა, რომ გოგის მეთაურობით მაგოგები პალესტინას დაეცემიან თავსო, მაგრამ ღმერთი ამ ბრძოლაში ისრაელების მხარეზე იქნება და მაგოგებს გაანადგურებენო. აქედან გოგი-მაგოგი დაერქვა საერთოდ ქვეყნის შესამუსრავად მოზღვაგებულ ხალხს. ამას გარდა, ამ გამოთქმას ხმარობენ რომელიმე მკაცრი, უღმობელი მმართველის აღსანიშნავადაც.

## მამა აბრამის ბატკანი

ამ გამოთქმას ხმარობენ მშვიდ, წყნარ, გულუბრყვილო და უმანკო ადამიანის მიმართ.

ბიბლიის მიხედვით, მამამთავარს, აბრამის ერთგულების გამოსაცდელად უფალმა უბრძანა: შენი ერთადერთი ვაჟი, ისაკი შემომწირეო. ღვთის მორჩილმა აბრამმა დააწვინა თავისი ვაჟი და ის იყო ყელი უნდა გამოეჭრა, რომ ანგელოზმა ხელი სტაცა მაჯაში და შეაჩერა, თან ბატკანი მისცა ხელში და უთხრა: აი ეს ბატკანი შეწირე ღმერთს შვილის ნაცვლადო. აბრამი ასეც მოიქცა.



გამთქვა თუ არა. თუმცა... ის ისეთი ბიჭი არ არის. ამ ზამთარს მოლიპულ თოვლზე ვსრიალებდი. მიხობუქურაულმა თენგიზს ფეხი დაუდო და ისე მაგრად დასცა, რომ შუბლი გაუსკდა. გოგონებმა მასწავლებელს უთხრეს: თენგიზი მიხომ წააქციაო. როცა მასწავლებელმა მიხობ დატუქსა და დასჯით დაემუქრა, თენგიზი წამოდგა და უთხრა: მასწავლებელო, ტყუილად ნუ დასჯით, ეგ არაფერ შუაში ყოფილა, მე თვითონ დავეციო...

სახლში დავბრუნდი და გადავწყვიტე, თენგიზი მენახა. ვამეგო, რაში იყო საქმე. მის წინაშე დანაშაული ცრემლებით მომენანიებინა და პატიება მეთხოვრა. რუსულ-ქართული ლექსიკონი ძალიან მჭირდებოდა, რუსულში სუსტი ვარ, სწავლა მიჭირს. მაგრამ წიგნი ახლა იმდენად არ მაინტერესებდა, რამდენადაც თენგიზის ნახვა. ყოველ შემთხვევისათვის ფული მაინც მოვძებნე. მაგიდის უჯრიდან ერთი ცამეტოილე მანეთი ამოვიღე და წავედი. გზადაგზა გოგონები მხედდებოდნენ, მაღაზიაში ლექსიკონები უყიდნიათ და სახლში ბრუნდებოდნენ. ზოგი მეუბნება: ჩქარა იარე, თორემ გათავდებაო, ზოგი, — ველარც კი მიუსწრებო.

არაფერს ვბასუბობ, მხოლოდ ვუღიმი და თავჩაღუნული, შერცხვენილივით მივდივარ. აგერ თენგიზიანთ სახლიც! გზიდან გადავუხვიე და ჭიშკართან მოშორებით შევჩერდი. მრცხვენია, ვყოყმანობ, როგორ მოვიქცე, შევიდე თუ არა... რა პირობა ვნახო ამხანაგი, რა ვუთხრა... ვფიქრობ, ვფიქრობ და: ჭიშკარი გაიღო. ალაყაფში თენგიზი გამოჩნდა, გამოიხედა, დამინახა და ჩაილაპარაკა:

— თქვენსა მოვდიოდი, აი, ლექსიკონი გიყიდე. ბედზე მივუსწარი; აჰა! — მომიახლოვდა და გადმომცა.

მე თავი ჩავლუნე და წიგნი გამოვართვი, გადავშალე. გული ამომიჯდა, ცრემლები ჩამოვყარე და ამხანავს დარცხვენით მა შევხედე.

— როგორ ვნახობ, რომ დილას... ვაწყენინე, — ძლივს წავიღულულულე და სიტყვა „ვაწყენინე“ ჩურჩულით წარმოეთქვი, რადგან „გაგარტყის“ თქმა გამიჭირდა.

— არა უშავს, ეგ არაფერი, — ჩაილაპარაკა და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: — როცა თავის შეკავება არ შეგიძლია, ჭადრაკს ნუ ითამაშებ.

— შოთა, რა იყო ბიჭო, რა უცნაურად მეკითხები?

— თქვი, დროზე! — შევევირე ოდნავ შეშფოთებულმა.

ამირანი გაწყრა, ლობიდან ჩახტა და წავიდა.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ნამდვილად თენგიზს რამე დაუშავდა. ნუ თუ ისე მაგრად მივარტყი? შეიძლება ძალიან გავცხარდი და აღარაფერი მახსოვს. თენგიზი მაშინვე ჩაიკუზა, სახე მწარედ დაემანჭა და დაეცა. ვინ იცის, რა დაემართა, ვინ იცის...

ამირანი გზაზე შეჩერდა. ნაწყენმა გამომხედა და მომამახა:

— მაღაზიაში რუსულ-ქართული სასკოლო ლექსიკონი მოსულა; წამო, იყიდე.

— ეგ იყო ახალი ამბავი? — მივამახე და როგორღაც დავმშვიდდი.

— დამანებე თავი, უცნაური ხარ! უკმაყოფილოდ დამიძახა და წავიდა. ნეტავი მაცოდინა, როგორ არის საქმე, ჩემზე რას ამბობენ. თენგიზმა

14 ივლისი

თბილისის, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალბინიზმის კაბინეტმა მოაწყო მრავალდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: თბილისი — ყაზბეგი — ორჯონიკიძე — ცეი — ზარომაგი — ქალაქა — მამისონის გადასავალი — შოვი — ქუთაისი — თბილისი. და აი, გამგზავრების დღეც დადგა. 14 ივლისს, დილის რვის ნახევარზე, ლაშქრობის 16 მონაწილე, მასწავ-

ადგილას არის შეფენილი სოფელი ყანობი, რომელიც ნახსენები აქვს ალ. ყაზბეგს თავის მოთხრობაში „ხვეისბერი გოჩა“. რამდენიმე ხნის მგზავრობის შემდეგ მივედით სოფელ არშაში და ტურბაზაში დავბინავდით. არშა სულ ოთხი-ხუთი კილომეტრითაა დაშორებული სოფ. ყაზბეგიდან. საღამოს ჩვენი ჯგუფი ყაზბეგში გაემგზავრა. იქ ვნახეთ ალ. ყაზბეგის მუზეუმი, სადაც შემონახულია ყაზბეგის აკვანი, მისი ნაწე-



დაღონებულია ლაშქრობის მონაწილე ზურაბ მეგრელიშვილი: ერთ-ერთ მდინარეზე გადასვლისას ფოტოაპარატი წყალში ჩაუვარდა. აპარატი გადაარჩინა, მაგრამ წყალმა ბევრი გადაღებული ფოტოკადრი გაუფუჭა.



აუწერელი სილამაზისაა ცეის ხეობა თავის ფიქვის ტყეებით, რძისფრად აქავეებული თერგით...

ლებელ დენეზა გოზალიშვილის ხელმძღვანელობით შევიკრიბეთ პიონერთა სასახლესთან. აქედან 9 საათზე დაიწყო ჩვენი ლაშქრობა. გავცილდით თბილისს, გავიარეთ მცხეთა და დავადექით საქ. სამხედრო გზას. ორი საათის მგზავრობის შემდეგ მივადექით ჯვრის გადასასვლელს. ავედით

რები და სხვა დოკუმენტები. ყურადღებით დავათვალიერეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია არქეოლოგიის განყოფილებაში, სადაც წარმოდგენილი იყო გათხრების შედეგად ნაპოვნი შრინჯაოს ხანის ნივთები. ეს ნივთები ნაპოვნია იქვე, მუზეუმის

15 ივლისი

ღირსშესანიშნავი დღეს არაფერი მომხდარა. დილით ადრე ავდექით. ვისაუზმეთ და სიონისაკენ გავწიეთ.

16 ივლისი


დღეს ორჯონიკიძეში მივემგზავრებით. დილით ადრე ავდექით და

# მშობლიური გზებზე

გადასასვლელზე და ჩვენს წინ გადაღმა ბუნების შესანიშნავი სურათი. ცამდე აზიდულან ღრუბლებში გახვეული უზარმაზარი მთები, მათ კალთებზე არწივის ბუდესავით მიყუყუღლან პატარ-პატარა სოფლები. ასეთ

ეზოში. 1874 წელს რუსმა ფილიმონოვმა მუზეუმის ეზოში აღმოაჩინა ქვის ყუთი. მასში ნახეს ქალის სამკაულებით შემკული ჩონჩხი. ეს სამკაულები დღეს მუზეუმშია გამოფენილი.

მანქანის მოსვლამდე სნოს ხეობაში წავედით. სანამ ჩვენ ტურბაზაში დავბრუნდებოდით, ორუბლები გაითანტა და გამოჩნდა ბუმბერაზი მყინვარი მთელი თავისი დიდებითა და მედიდურობით. მისი ჭალარა თა-



სოფ. ყაზბეგში, ალექსანდრე ყაზბეგის საფლავზე აღმართული ძეგლი.


არშაში, ნორჩმა მოლაშქრეებმა ერთ-ერთ ტურისტებთან სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღეს.

მთიანი რაიონია, სადაც განლაგებულია ტურბაზა, დასასვენებელი სახლები და ალპინისტური ბანაკები. გზაში ჩვენს თვალწინ ერთმანეთს ცვლიდნენ მინდვრები და ბაღები. საათნახევრის გზავრობის შემდეგ მივადექით თაძარ მეფის მეუღლის დავით სოსლანის საგვარეულო სოფელს ნუხალს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მიუახლოვდით ბურონს. შევედით ცეის ხეობაში. შესანიშნავი სანახავია ცეის ხეობა. იგი გადაჭიმულია ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო გზიდან დასავლეთით, და მრავალ ტურისტსა და მოგზაურს იზი-

რა, რომ დღეს მყინვარზე წასვლა სახიფათო იყო და ამიტომ რეკომში წავედით. „რეკომი“ ოსური სიტყვაა და მზიურ ადგილს ნიშნავს. რეკომი არის მამაკაცთა და ქაღთა, მაგრამ ყველაზე ღირსშესანიშნავი მამაკაცთა რეკომია. რეკომი ისეა აშენებული რომ, არც ერთი ლურსმანი არ არის ნახმარი. რეკომი ოსთა წმიდა ადგილი იყო.

22 ივლისი

ღილით ადრე ავდექით. სწრაფად ვისაუზმეთ და ზარომავში წასასვ-



ვი მზის სხივებში ოქროსფერად ეღვარებდა. მალე მანქანაც მოვიდა და ჩვენც ორჯონიკიძისაკენ გავემართეთ. მანქანა დარიალის უღამაზეს ხეობაში შევიდა... მალე მივადექით ორჯონიკიძეს. ეს ქალაქი სულ მწვანეშია ჩაფლული. ჩვენ აქ დავბინავდით თბილისის ქუჩაზე, ბავშვთა ტურბაზაში. საღამოს გავისეირნეთ პარკში. პარკმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მის შუაგულში არის ტბა, რომელზედაც ნავებით სეირნობენ. საღამოს ძალიან ნასიამოვნები დავბრუნდით შინ.

17 ივლისი

დღეს მთელი დღე დათვალეირებას მოგუნდით. ვიყავით პარკში, სადაც ვიბანავეთ აუზში. აუზი დიდი მოცულობისაა, მაგრამ წყალი დაბალია. ტურბაზაში გვიან დავბრუნდით და დარჩენილი დრო გამგზავრების სამზადისში გაატარეთ.

18 ივლისი

ღილით ადრე გავემგზავრეთ ცეიში. ცეი ჩრდილოეთ ოსეთის მალა-

დავს. ტურისტებს აქ ყველაფერი მოსწონთ: ფიჭვის ტყეები, ცივი და ანკარა წყაროები; მაგრამ ყველაზე მეტად ტურისტებს აოცებს თავისი სიღამაზით თოვლიანი მწვერვალები, მყინვარები და პირქუში კლდეები. ცეის მთების რკალი ნახევარწრესავით შემორტყმია ხეობას. მასზე ბატონობს მწვერვალი უილ-პატა-ტაუ.

19 ივლისი

დღეს ცეის მყინვარზე უნდა წავსულიყავით. ამიტომ სწრაფად გისაუზმეთ და მყინვარისაკენ გავწიეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ძლიერმა წვიმამ დაუშვა და ინსტრუქტორმა გვითხ-

ლელად მოვემზადეთ. სანამ ჩვენ ვემზადებოდით, მანქანაც მოვიდა. ბურონამდე მანქანით ვიმგზავრეთ, ხოლო შემდეგ კი—ზარომავამდე ფეხით. სამანქანო გზის დაზიანების გამო, საერთო ბარგიც ზურგზე გვეკიდა. ბურონიდან ზარომავამდე 14 კმ-ია. იქიდან ფეხით ვიარეთ. მივედით ზარომავში. ვისადილეთ, ცოტა დავისვენეთ და წავედით კოსტა ხეთაგუროვის მშობლიურ სოფელ ნარში. ნარში დავათვალიერეთ კ. ხეთაგუროვის სახლ-მუზეუმი. ვნახეთ ის ადგილი, სადაც დაიბადა და იზრდებოდა ოსი ხალხის სიამაყე.



## 24 ივლისი

დილით ავედქით თუ არა, მაშინვე ბარგი შეგკარით და ქალაქში გავემგზავრეთ. ქალაქი არის ოსების უკანასკნელი სოფელი მამისონის გადასასვლელამდე. ქალაქში მისვლისთანავე წვიმა დაიწყო. გემის მიხედვით ჩვენ ქალაქში ღამე უნდა გაგვეთია. მაგრამ აღარ მოვისურვეთ დარჩენა და გადავწყვიტეთ საქართველოში გადმოსვლა. დავიქირავეთ ცხენები და გავუდექით გზას. ქალაქიდან შოვამდე 33 კმ-ია. 6 კმ აღმართზე ვიარეთ მამისონის გადასასვლელამდე. წვიმა და ჩვენც სულ სველები ვიყავით. ბოლოს, როგორც იქნა, ავედით მამისონის გადასასვლელზე. 2829 მ. სიმაღლეზე მეტეოსადგური დგას. გადასასვლელზე შევისვენეთ. სველი ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და გზა უკვე საქართველოში განვაგრძეთ. დიდხანს ვიარეთ და, ბოლოს, ღამის 11 საათზე, საშინლად დაღლილები, მაგრამ ძნელი გზის დაძლევის კმაყოფილნი, ჩავედით შოვში.

შემდეგ დღეებში ვისვენებდით, სულ ტურბანაში ვიყავით და ღირსშესანიშნავი არაფერი არ მომხდარა.

## 29 ივლისი

დილიდანვე გავემგზავრეთ ქუთაისისაკენ. ქუთაისამდე ძალიან ცუ-

დი გზაა. 2 საათის მგზავრობის შემდეგ მივედით ამბროლაურის რაიონის სოფელ სინათლეში. სოფლის შუაგულში, მთის ფერდობზე დგას საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი არქიტექტურული ძეგლი ნიკორწმინდა. ეს ძეგლი XI საუკუნის ბირველ მეოთხედისაა, ქვაზედაც ასეა ამოკვეთილი. ნიკორწმინდა უხვად არის მორთული ჩუქურთმებით. ენახეთ შაორის ტბა. შემდეგ ავედით ნაქერალას გადასასვლელზე. საიდანაც ტყიბულის შესანიშნავი ხედი გადაიშალა.

ტყიბულში არ გავჩერებულვართ, პირდაპირ გავწიეთ ქუთაისისაკენ. ქუთაისში მისვლამდე ჩვენ გელათში ავედით და აღტაცებულებმა მე-12 საუკუნის ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი დავათვალიერეთ.

გელათიდან 20 წუთის მგზავრობის შემდეგ ქუთაისში ვიყავით.

## 30 ივლისი

დღეს დილით, საუზმის შემდეგ, სათაფლიასკენ გავწიეთ. სათაფლია იმითაა ცნობილი და ღირსშესანიშნავი, რომ აქ დინოზავრის ნაკვალევი შემორჩენილი. მისი გამოქვაბული კი მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი თავისი სტალაგმიტებითა და სტალაქტიტებით. ჩვენს ექსკურსიას ხელმძღვანელობდა პეტრე ჭაბუკიანი, რომელმაც თვითონ აღმოაჩინა ნაკვალევიც და გამოქვაბულიც.



ნაირ-ნაირი ჩუქურთმებით უხვადაა მორთული ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი—ნიკორწმინდა.

შევედით გამოქვაბულში. ფარნების შუქში სტალაგმიტები და სტალაქტიტები მრავალფერადე ლვარებდა. საღამოს ბაგრატის ტაძარზე ავედით. ეს შესანიშნავი ტაძარი დანგრეულია და ახლა მისი აღდგენა მიმდინარეობს.

## 31 ივლისი

ძალიან მოგვეწონა კურორტი წყალტუბო. ქუთაისში ადრე დავებრუნდით, რადგან თბილისში წასასვლელად უნდა მოვმზადებულიყავით. ღამით, 12 საათზე, ლაშქრობის უკანასკნელი დღეც დამთავრდა. მატარებელმა თბილისისაკენ გამოგვაქანა.

### ზურაბ მეგრელიშვილი,

ლაშქრობის მონაწილე, თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.

ფოტო—ავტორისა.

დიდებული ხედი იშლება დარიალის ხეობაში მოგზაურების დასახლებაში.





# გუნჯა გუსკური

პოემა

ნახ. მ. დაუშვილისა

ქმრის სიკვდილი ამცნეს დილით,  
სიმწრით დასწვდა წერილს,  
შეცანცახდა ქალღივილით  
ხელი მასწავლებლის.  
არ გაანდო დედამ დარდი  
დედისერთა გოგოს,  
გაუშალა თმებზე ბაფთი,  
როგორც ვარდის კოკორს.  
არა, აღარ დაუშალა  
ბავშვს თამაში გარეთ,  
უპეები ჩაუშავდა,  
აქვითინდა ცხარედ.  
შავ ჩვენებად გადაქცა  
ცხადი განსაცდელი,  
შავ დღის ნიშნად გადაიცვა  
შავი ტანსაცმელი.  
უცებ, სახლის კარ-ფანჯრები  
აკიაგდნენ თეთრად,  
ზღვისპირ მთები და ნაძვები  
რა ხმამ დააფეთა?..  
ქალი თავზარდანაცემი  
გარეთ გაახედა  
სტალინგრადთან გამარჯვების  
სალუტების ფეთქვამ.  
ერთი დილა, ერთი დილა  
დასცლოდაო ნეტავ...  
ქმრის შავ ბედზე დაიგმინა  
დედისერთას დედამ.  
მოარიდა მამით ობოლს  
დაცრემლილი სახე,  
და ჩასჭიდა მკლავში გოგოს  
ხელი მოცანცახე.  
მშობლის თვალში ცრემლის ციმციმს  
განა ამჩნევს ბავშვი...  
მასწავლებელს გოგო მკვირცხლი  
მიჰყავს სკოლის ბაღში.  
იცის გოგომ ანი-ბანი,  
კაბის კერვაც იცის,

იცის რაა სკოლის ზარი,  
ოქტომბრული ფიციც.  
გოგონია მიხტის ცოცხლად,  
მერცხლად მიჰიკვიკებს.  
იცის სტვენა, ხეზე ცოცვა,  
წილს არ უღებს ბიჭებს.  
იცის თოფი, ზარბაზანი  
გოგომ დედისერთამ,—  
ჯერ არ იცის—რა თავზარი  
დაატება ბედმა...



\* \* \*  
შავი ზღვიდან მოვარდნილმა  
ნიაქქარმა სველმა  
ქალს ცრემლები მოაღინა,  
ის დღე გაახსენა,  
როცა ნავში დატვირთული

ბადე აიკეცა,  
მოფართხალე სტავრიდული  
ალაპლაპდა ვერცხლად.  
გაღმოფრინდა მისი ქმარი  
მკლავებგარუჯული...  
ახლა სად წევს ტყვიით მკვდარი,  
თვალვებდახუჭული?..  
ნუთუ მოკლეს, ველარ სუნთქავს  
ფიცხი, პირდაპირი,  
ზღვაში გაზრდილ მეზადურთა  
მკვირცხლი ბრიგადირი!  
შეიმშრალა ცხელი ცრემლი  
ქალმა შავოსანმა.  
—დედი, დედი, ის წერილი  
მამამ გამოგზავნა?  
«არას» გარდა არა თქვა რა  
წარბშეკრულმა ქალმა,  
ნაბიჯს უფრო აუჩქარა,  
გულში გაჰკრა ალმა.  
მარტო როგორ მოიკლავდა  
ქალი ვარამს სახლში!..  
შედგა დედა სკოლის კართან,  
წინ გაუშვა ბავშვი.  
მოწაფეთა ჟრიაშული  
ბაღნარს აყრუებდა,  
დედა, კართან მიმალული,  
იდგა მაცურებლად...  
და ფიქრობდა, რა უშავსო,  
გოგო მათთან დარჩეს...  
ლხინი რისთვის ჩავუშხამო  
მოზვიმე ბავშვებს?..  
მარტო მწვავედეს, მაწამებდეს  
დარდის ნაღვერდალი.  
უცებ, მოხუც მასწავლებელს

მოჰკრა ქალმა თვალი.  
ვინც ათობდა, ახარებდა,  
ვით გამზრდელი დედა,  
გამოუცდელს, ახალბედს  
ვინც მეგზურად შეხვდა,  
ვისაც შვილი აღარ ყავდა,  
ვინც ყორნისფერ თავშლით  
მასწავლებელს ახალგაზრდას  
შეჰყვა პირველ კლასში.  
ვინც იწვინია დაქვრივება  
ორმოცი წლის წინათ,  
ვისი რჩევა-დარიგებაც  
გულში გაუბრწყინდა,  
ვინც საწუთროს მომავალი  
აწრთო, გამოსწავა, —  
შორიდანვე მოჰკრა თვალი  
თავის ნამოწაფარს.  
მიხვდა იგი... აღსდგა წამსვე  
ჭირ-ვარამი ძველი,  
არც შეირხა, არც წამწამზე  
ჩამოსცურდა ცრემლი,  
— მოდი! — ეტყვის კართან შემდგარს  
ქალი ხანდაზმული.  
ჩაეხვევა, როგორც დედას —  
ზამთარს გაზაფხული.  
შეირხევა ქარში მშვიდად  
პალმის მწვანე ნეშო;  
ორთა შორის უხმოდ ითქვა  
სიტყვა სანუგეშო.  
როგორც ორი შავი ძველი,  
ორი დიდი დარდი,  
იღვა ორი მასწავლებლის  
ორი მრუმე ლანდი.  
მზე მხურვალე თონესავით  
მიწას აცხუნებდა, —  
თუ ეწადა ორი შავი  
კაბის ვახუნება...  
თმებჭალარა არ იძვროდა,  
იღვა, სღუმდა ერთხანს,  
სიტყვაძუნწმა არ იცოდა  
რა ნუგეში ეთქვა.  
ბოლოს მხრებში გაიშალა  
და ქვრივს უთხრა ქვრივმა:  
— ეხედავ, კაბა გაგიშავა  
დაცემულმა გმირმა,  
მაგრამ შვილი ჩაგაპარა  
მან სიცოცხლის ფასად,  
ბავშვი ბედის ანაბარა  
არ დასტოვო არსად!

\* \* \*

ზღვის ნაპირას ცინცხალ დილის  
ნათელმონაფენნი  
აჭიკჭიკდენ მერცხლებივით  
მკვირცხლი მოწაფენი.  
იქვე ეღვა შესადარი



უილაქნო ანძის,  
ქერქლამსკლარი, ფესვამხმარი  
ძირი ბებერ ნაძვის.  
ხეს შეავლო თვალი მკაცრად  
ხანდაზმულმა ქალმა:  
— ამ გამხმარი ნაძვის ნაცვლად  
გავახაროთ პალმა!  
ბაღში თითქოს ზარბაზნების  
ზათქმა იგრილა:  
— პალმას ერქვას გამარჯვების  
და მშვიდობის პალმა!  
სამ დღეს თხრიდა ნაძვის ფესვებს  
მოწაფეთა რაზმი,  
ნაჯახებით ააკენესეს  
მკვლარი ბუმბერაზი.  
ქვიშნარს ხეთა ცვარ-ცრემლები



რწყავდა, ასველებდა.  
იდგენ უფროსკლასელები  
პირველკლასელებთან.  
ადრინად გაჩნდა ბაღში  
შავოსანი ქალიც,  
მისმა გოგომ სველ მიწაში  
თესლი ჩაფლა პალმის.  
ვადახედა დედას მორცხვად  
მთელი სკოლის თვალმა:  
— მშვიდობის და ძლევის დროშად  
შრიალბედეს პალმა.  
იდგეს მწვანე ბარიკადად  
და მშვიდობის ნიშნად,  
ძლევათხილ სტალინგრადად  
გამარჯვების ნიშნად.  
ყველამ ერთხმად დაიქუხა:  
— დე, მშვიდობის პალმა  
ვერ მოთხაროს, როგორც მუხა,  
მძღაერმა ქარიშხალმა!

\* \* \*

მიჰყვებოდა ღამეს ღამე,  
დილას დილა ცვლიდა,  
ვარსკვლავები მოკამკამე  
მოცვიოდნენ ციდან.



სამყაროში ხმა გავარდა;  
— ძღვეის პალმა იშვა  
მშვიდობის და სტალინგრადას  
გამარჯვების ნიშნად!...

და ამბავი მწვანე ნერვის,  
როგორც ქროლვა ქარის,  
მისწვდა მოსკოვს, პეკინს,  
ბერლინს,  
ლონდონს, რომს და პარიზს.  
გაუღვივდა ხშირზე ხშირი  
თესლი ხორბლისთანა  
და ნერგები შვილებივით  
გაუმრავლდა პალმას.

\* \* \*

რა ხანია, ომი შეწყდა,  
ჩაქრა ცეცხლის ალი,  
ერთ დღეს შეკრთა ობლის დედა,  
ქმარმოკლული ქალი.  
რა ბარათი დახვდა დილით?  
ვინ მოსწერდა წერილს?...  
აცახცახდა ქალადღივით  
ხელი მასწავლებლის;  
ვიღაც მისებრ დედა ობლის  
სწერდა ბერლინიდან:

— «გამარჯვების და მშვიდობის  
პალმის ნერგი მინდა.  
მენატრება ყურს ვუგდებდე  
მის საამო შრიალს,  
არ იწვნიოს მამის ბედი  
ჩემმა ვაჟიშვილმაც.  
მინდა ნერგი გავახარო,  
რომ გრივალის შემდეგ  
მშვიდობის ხმა, როგორც წყარო  
ბერლინშიაც ჩქედდეს»...  
ხშირტოტება პალმის ნერგი  
გათბა დედის მადლით  
და გაფრინდა, როგორც მტრედი,  
მწვანე ამანათი.  
წერილს იღებს პარიზიდან,  
ქალი ღწლვას მალავს.  
ბარათშია სამი სიტყვა:  
«გთხოვთ მშვიდობის პალმას».

ქმარდალუპულ მასწავლებელს  
სწერენ პეკინიდან:

«მშვიდობის და გამარჯვების  
ერთი ნერგი გვინდა!»  
დედას სწერენ ლონდონიდან:  
«წვიმს და ცივა გარეთ,  
მაგრამ გულში სითბო გვიდგას,  
პალმას გავახარებთ».  
«შეწყდეს ომის სავალალო,  
სასიკვდილო შიში;

მთავრდებოდა კვირა კვირით  
და მისდევდა თვე თვეს,  
არმიებმა თავანწირვით  
მტერი დააფეთეს...  
მიიწვედა ფრონტის ხაზი  
და ზღვისპირას ზურგში  
აყვავილდა ტოტებნაზი  
ზეთისხილი, ნუში.  
დედამიწა ამოხეთქა  
მწვანე ფერის ალმა,  
სკოლის ბაღში ამოფეთქდა  
საოცნებო პალმა.

თითო ნერგთან გაჩნდა გოგოც;  
სურს რომ გადაკოცნოს...  
რაზმი უმზერს პალმას, როგორც  
პიონერულ კოცონს.  
ვით კოცონთან, დაიფიცეს,  
გულით დაიძახეს,  
რომ არასდროს დაივიწყებ  
შვილი მამის სახელს.  
დაიფიცეს გამარჯვება;  
დაიჟექეს ერთხმად,  
რომ მშვიდობის დარაჯებად  
იდგებიან ქვეყნად.

\* \* \*


იზრდებოდა ბაღში პალმა,  
არ ინდობდა ზეცა,  
ბევრმა ქარმა აშრიალა-  
ფრთები დაუკეცა,  
ბევრჯერ სეტყვამ დაანუწრა  
მისი მწვანე ძირი,  
მაგრამ ავღრებს გადაურჩა,  
ვით პატარა გვირი.

მინდა ჩვენშიც გავამრავლო  
თქვენი პალმის ჯიში». —  
იაპონელ დედის წერილს  
რომ აწვდიან დედას —  
ახსენდება ზღვები ცრემლის,  
ხიროსიმას ხელავს.  
მწვანე ნერგებს გზავნის ქალი,  
მშობლებს აიძულებს:  
«ომის მკაცრი ქარიშხალი

ალარ გვეგრძნოს დედებს»...  
პალმის მშვიდი შარიშური  
ქვეყნებს ედებოდა;  
ერთ ღროს ჩინთა აბრეშუმის  
ასე ვრცელდებოდა:  
ეგვიპტიდან ერთ ღროს ასე  
მიაფრენდნენ ხორბალს,  
და გალობდნენ ქვეყანაზე  
ქართულ ვაზის ხოტბას.  
თვითმფრინავით, გემით, ნავით,  
მწვანე მატარებლით  
მოდიოდა ნერგი პალმის,  
რგავდნენ პატარები.  
სამშვიდობო აფრის გაშლით,  
მეხამრიდად, ალმად,

აზიაში, აფრიკაში  
შრიალებდა პალმა.  
იზრდებოდა, მრავლდებოდა,  
იშლებოდა ხომალად,  
ზეცისაკენ მალღღებოდა  
ხვალის მახარობლად.  
ჯარისკაცთა საფლავებზეც  
გაჩნდა ჩრდილი მისი.  
საით სად არ გადათესეს  
უკვდავების ღირსი.  
მის საფლავზეც ალბათ პალმის  
მშვიდი შრიალია,  
ვინც სამშობლოს ორთავ თვალის  
შუქი შეალია!  
ნეტამც ცის თაღს მოსწყდებოდეს  
ნერგი ნატვრისთვალა  
და საზღვრებზეც იზრდებოდეს  
ვერ ახმობდეს გვალვა,  
მეხამრიდად იქცეოდეს  
მშვიდობის ხე — პალმა!





ბევრ თქვენგანს უკვე შეძენილი ექნება ქართველი პოეტების ლექსთა კრებული—„ჩანგი“. ამ კრებულში დაბეჭდილი მრავალი ლექსი ზოგიერთმა ალბათ ზეპირადაც იცით. ბევრი მათგანი უკვე გისწავლიათ სკოლაში, ზოგსაც შემდეგ კლასებში გაივლით... ამიტომაც „ჩანგი“ თქვენი საყვარელი სამაგიდლო წიგნი უნდა იყოს, ცხოვრების გზის გამკვლევი და მასწავლებელი:

„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,  
მას გეცილების ვერაინ, არ არის გასაყოფელი.  
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი.  
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

„სწავლა მოსწავლეთას“ გარდა კრებულში დაბეჭდილია დავით გურამიშვილის „საწუთროს სოფლის სამდურავი“ და „ზუბოკა“. რად ემდუროდა წუთისოფელს გურამიშვილი? ისევ და ისევ იმიტომ, რომ მეტის-მეტად მძიმე და ძნელი იყო იმხანად სწავლა-განათლების მიღება, ხოლო უსწავლელობა კი ღუპავდა ქვეყანას.

„ჩანგი“ ერთხელ კიდევ შეგახსენებთ შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანის“ სტრიქონებს, ბესიკის შესანიშნავ ლექსებს, ალ. ჭავჭავაძის „სიყვარულო ძალსა შენსას“, გრ. ორბელიანის „სალამო გამოსალმებისას“, ნიკ. ბარათაშვილის „მერანს“, რაფ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისას“. გახსოვთ, როგორ ამაყად ამბობს პატარა ხევსური ბიჭი?

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა:  
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“

ამ ამაყ სიტყვებს მართო ზეპირად კი არა, გულითაც უნდა დამახსოვრება! აი ისე, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე მიმართავდა ყვარლის მთებს, რუსეთში სასწავლებლად მიმავალი:

„სამშობლოს მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,  
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:  
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად ვით ჩემი გული,  
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“

როგორ შეიძლება სიამაყით არ გადაიკითხოთ თუნდაც ასჯერ და ათასჯერ აკაკის „განთიადი“ და „სულიკო“, ვაჟა-ფშაველას „არწივი“, გ. ჭალადიდელის „მოგონება“, თქვენ რომ კლასში გისწავლიათ: „მახსოვს, პირველად სასწავლებელში წასაყვანად რომ მე გამამზადეს“... ი. დავითაშვილის „ჯეჯილი“ და ირ. ევდოშვილის „მეგობრებს“, ვაჟა ფშაველას ძმის—ბაჩანას ლექსი „მუხა“ და მამია გურიელის „ადამიანი“:


„ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული—მომძეთა ვალად.  
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს, თუ კი გსურს გახდე ადამიანად!“

შიო მღვიმელი ხომ თქვენი საყვარელი პოეტია, პატარა მკითხველებო. ხომ გახსოვთ პაწია მერცხლის ჩივილი: ნეტავი რა დაგიშავე, ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესეო... „პაწია მერცხლის“ გარდა კრებულში დაბეჭდილია მღვიმელის კიდევ ორი ლექსი, დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“ და „ორი დედა“, ნოე ჩხიკვაძის ცნობილი ლექსი: „ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე?“

„ჩანგი“ იხურება გალაკტიონ ტაბიძის შესანიშნავი სტრიქონებით:

„მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ.  
გიცავდი და გიცავ მარად, გიცავდი და კვლავ დაგიცავ!“.

ერთი კია, პატარა მკითხველებო: შეიძლება რუსთაველის, გურამიშვილის ან ბესიკის კითხვისას წააწყდეთ რომელიმე უცნობ სიტყვას. ამ შემთხვევაში უნდა ჩახედოთ სულხან-საბა ორბელიანის უკვდავ „სიტყვის კონაში“. მაგალითად, გურამიშვილი „საწუთრო სოფლის სამდურავში“ ერთგან წერს: წყეულმან, ცრუემან, მაცთურმა ფეხთ ქვეშ ილინჭა მომიგოო. საბა თავის ლექსიკონში წერს რომ „ილინჭა“ ფრინველთ დასაჭერი მახეა, ჯაკანათისებური... თუ ასე მოიქცევით, სიტყვის მარაგსაც გაიმდიდრებთ და აზრსაც უფრო ნათლად გაიგებთ.



ალბერტო მორაპია  
იტალიელი მწერალი

მ. ო. ბ. რ. ბ. ბ.

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

სან—პანკრაციოს ჭიშკართან ოსტერიაში ოფიციალტად ვმუშაობდი. ერთი მოხუცი მებლედ ჩვენი ოსტერიის ხშირი სტუმარი იყო. მოხუცს ყველა მარინეზეც ეძახდა. არ ვიცი, წარმოშობით მარინოდან იყო და ამიტომ შეარქვეს ეს სახელი, თუ მარინული ღვინო რომ უყვარდა იმიტომ. ვგონებ ასე უფრო იყო. ვერ გეტყვით, რა ხნისა იქნებოდა მარინეზე, თავისი დაბადების წელი არ იცოდა, მაგრამ ისეთი ყოჩადი გახლდათ, ზოგიერთ ახალგაზრდას მაინც სჯობდა ხმაში და, როცა სვამდა, ბევრსაც ყბედობდა. თუ ვინმეს მოიხელებდა სალაპარაკოდ, აღარ მოეშვებოდა. ხანდახან საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. მოგეხსენებათ, ოფიციალტები, საქმე რომ არა გვაქვს, მუშტრის საუბარს ყურს ვუგდებთ ხოლმე. მარინეზე ათას სხვა მონაგონ ამბებს შორის, ხშირად ჰყვებოდა ერთ ამბავს, რომელიც მართალს ჩამოგვავდა: თითქოს გერმანელებმა ერთი თავადის ვილადან ვერცხლით სავსე ყუთი გაიტაცეს და სადღაც მიწაში ჩაფლეს. ეს ადგილი კი მარინეზე იცოდა. კარგად რომ შეიკვიკვიდებოდა, გადაკრულად იტყუოდა, ის ვერცხლი ჩემს ბოსტანშია ჩაფლულიო. თან დაუმტკბოდა: თუ მოვინდომე, ხელად გავმდიდრდები, ასეთი დღეც დადგებაო. როდის?

— ძალიან რომ მოვტყუდები და მუშაობა აღარ შემეძლება,— გამოაცხადა მარინეზემ, როცა ჰკითხეს, მაინც როდის აპირებ გამდიდრებასო.

უცნაური პასუხი თუ გინდათ, სწორედ ეს გახლდათ. მართალია, მარინეზე ყოჩაღად გამოიყურებოდა, მაგრამ ოთხმოც წელზე ნაკლებისა მაინც არ იქნებოდა.

ბოლო დროს ძალიან გამიტკბა მარინეზეც განძე ოცნება. ყველაფერი დავიჯერე, რასაც ბერიკაცი ლაპარაკობდა, რადგან ოკუპაციის დროს, ის თავადი, მარინეზე რომ ასახელებდა, მართლა გაძარცვეს. ჰოდა, მოსვენება დავკარგე. დღე და ღამ სულ განძი მიტრიალებდა თავში. როდემდე იცოცხლებს ბერიკაცი?— ვფიქრობდი შეშფოთებული.— დღეს თუ არა ხვალ, დამბლა დაეცემა და სული გაძვრება. მაშინ კი, მშვიდობით განძო! რამდენჯერმე მიველაქუტე: ეგებ რამე გამოვტყუო— მეთქი. თქვენც არ მომიკდეთ. დიდი გაიძვერა ბებერი იყო. ჩემს მართმეულ ღვინოს ტკბილად შეიქცეოდა, ენა კი კბილით ეჭირა.

— ჩემი ღვიძლი შვილიც რომ იყო,— დიდი ამბით გამომიცხადა ერთხელ მარინეზემ,— მაინც არ გეტყუოდი, სადაა განძი ჩაფლული. უმარწვილი კაცი ხარ, შრომა არ უნდა გეზარებოდეს... ფული

კი იმას სჭირდება, ვინც დაიქანცა, მოტყუა და შრომა აღარ შეუძლია...

იმედი რომ გადამიწყდა, ერთ ახალგაზრდა ოფიციალტს, ქერა რემიჯოს გავანდე ჩემი საიდუმლო. რემიჯო დიდი ჩერჩეტი იყო, ხელად აენთო და მოჰყვა ოცნებას: აი, მე და შენ რომ გავმდიდრდებით, მანქანას ვიყიდი, ერთად გავხსნათ უავანანაო.

— ჯერ განძი ვიპოვოთ, რემიჯო... გარდა ამისა, მაინცა და მაინც მადა ნუ გაგეხსნება... განძს ოთხად გავყოფთ, სამი მეოთხედი მე, ერთი მეოთხედი შენ... თანახმა ხარ?

არც ამაზე მითხრა უარი. მოვილაპარაკეთ, რომ დამის თერთმეტ საათზე ვია აურელია ანტიკაზე შეგვხვდებოდით ერთმანეთს.

მაისის დამდეგი იყო. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მთვარე ჩახჩახებდა და ირგვლივ ყველაფერს ნათელი ეფინა, ჰაერი გასაფხულის თბილ სურნელებას გაეუღინათა თერთმეტს თხუთმეტი წუთი უკლდა, ვია აურელია ანტიკისაკენ რომ გავწიე. არც ვეღვაღედი, არც სინდისი შექნჯინდა, საბრალო მოხუცს რომ ვუპირებდი გაძარცვას, თითქოს ბოროტმოქმედების ჩასადენად კი არ მივდიოდი, რალაც თამაშით ვიქცევდი თავს.

რემიჯო დანიშნულ ადგილზე დამხვდა და ჩვენ ვია აურელიას გავყევით. მივდიოდით ძველ კედლებს შუა, რომელთა მიღმა მონასტრის ბაღ-ბოსტნებია გაკვირული. ვიდრე შინიდან გამოვიდოდი, გავიფიქრე, ვაითუ მარინეზემ ბარი არ მომცეს-მეთქი და ჩემი ბარი წავიღე თან, რემიჯოსთვის კი, ხელცარიელი რომ არ ყოფილიყო, წერაქვი წამოვიღე. გარდა ამისა, წინასწარ ნაყიდი მქონდა რევოლვერი და ვაზნები. მე მარტო ბერიკაცის დაშინება მინდოდა. ჰოდა, ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ ასტკივო, ამიტომ რევოლვერი დამცვილზე დავაყენე.

გულახდილად გეტყვით, უკვე ვნანობდი რემიჯო რომ გავრიე ამ საქმეში, გეგმა რომ გავაცანი. ეს რომ არა, მაშინ მთელი განძი მე დამრჩებოდა. გარდა ამისა, გული მეთანადრებოდა, ვიცოდი რა ყბედიც იყო და, თუ სადმე წამოაყრანტალებდა რამეს, ციხეს ვერ ავცდებოდი. ამ ფიქრმა ისე შემაშფოთა, რომ უცებ შევდექი, რევოლვერი ამოვიღე და რემიჯოს დავემუქრე.

— იცოდე, ენას კბილი დააჭირე. თუ რამე წამოგიყრანტალებია, მოგკლავ.

— რას ამბობ, ალექსანდრო! ვინა გგონივარ?—მიპასუხა შიშით  
აცანცახებულმა რემიჯომ.

— ცოტა მარინეუხსაც უნდა ვუწილადოთ. თვითონ რომ ერ-  
გება რაღაც, საიდუმლოს შეგვიწახვავს, აღარ გავვამხელს. მაშასა-  
დამე, შენი წილიდან უნდა მისცე... გეხმის?

— კარგი, ასე იყოს!—მიპასუხა რემიჯომ.  
რევოლვერი ისევ ჯიბეში ჩავიდე და გზა განვაგრძეთ. ცოტა  
კიდევ გავიარეთ და ძველი, სვეტებიანი ჭიშკარიც გამოჩნდა, ფრონ-  
ტონზე ლათინური წარწერა ჰქონდა. ეტყობოდა ოდენსაც ეს ჭიშ-  
კარი მწვანედ იყო შეღებილი, ახლა კი გახუნებულიყო და აქერც-  
ლილიყო. ვიცოდი, ამ ჭიშკრის იქით იყო მარინეუხს ხუხულა. აქეთ-  
იქით მიმოვიხედე, ირგვლივ კაცოშვილი არ ჰქანებდა, ხელი ვკარი  
ჭიშკარს, შევადე და ეზოში შევედი.

თუმცა მე იქ ბოსტნეულისთვის არ მივსულვარ, მაგრამ თვალი  
რომ მოვავედ იჭაურობას. კინალამ აღტაცებით შევუყირე. რა ბოს-  
ტანი იყო, ავ თვალს არ ენახებოდა! მთვარის კაშკაშა შუქზე,  
თვალწინ გადაგვეშალა უმწვენიერესი ბოსტანი, როგორც კი ოდენ-  
მე მინახავს. მთვარის სხივებზე ბრწყინავდა ლარივით სწორი სარ-  
წყავი თხრილები, მათ შორის მოქცეულ კვლებზე ბოსტნეულს  
ბაირადივით გაეშალა ფოთლები, თითქოს საზეიმო პროცესია, მთვა-  
რის შუქით განათებული მიემართებოდა მარინეუხს სახლისკენ,  
ბოსტნის ხიდრემში რომ მოჩანდა. რა არ იყო იქ: ვიბერთელა ლა-  
ტუქები, თითო მათგანი მემწვანლის სასწორის ჯამს გაავსებდა;  
პამიდორის გაღვინებული ბუჩქები, წვრილი ბამბუკით შესარულ-  
ნი. ფოთლებით დაფარული პამიდორი ჯერ მოწეული არ იყო,  
მაგრამ ისე გავსილიყო და გატკეპილიყო, გეგონებოდა საცაა გასკდ-  
ბანო. სავიოური კომბოსტოს ხუჭუჭა თავები, ბავშვის თავის  
ხელა იყო. დაშინავით სწორი და მაღალი ხახვი. არტიშოს ხომ  
ნულარ იკითხავთ, თითო ღერზე ოთხ-ოთხი ცალი ესხა. სალათი,  
მწვანე მუხუდო, ცერცვი. ერთი  
სიტყვით, ყოველგვარი ბოსტნეუ-  
ლი. აქა-იქ, ზედ მიწაზე ეწყო,  
თითქოს მოწყვეტას უცდიანო, კიტ-  
რი და კვახი. ბოსტანს იქით ხე-  
ჩილის ბალი იწყებოდა. დაბალი  
ხეხები, ფართოდ გაშლილი შტოე-  
ბით. ქლიავი, ატამი, ვაშლი, მსხა-  
ლი, რა გინდა სულს და გულს!  
ხშირ ფოთლებში მწვანე ნაყოფი  
ბრწყინავდა მთვარის შუქზე.  
ყველაფერს ეტყობოდა მეზადის  
მზრუნველი ხელი და შიშკარა იყო,  
რომ ის მშრომელი ხელი მარ-  
ტო ფულის მოგებისთვის როდი  
იღწვოდა.

— მარინეუხ სადღაა? — მოუ-  
ლოდნელად წამოიძახა რემიჯომ,  
რომელსაც განძის მეტი არა ახ-  
სოვდა რა.

— აი, იქ!—მივუთითე რემიჯომს  
ბაღის ხიდრემში მდგარ ქონზე.  
ოხრახუშის და ნივრის კვლებს-  
შუა გავყვით გზას. რემიჯომ  
ლატუქს ფეხი დაადგა. საშინლად  
გავბრაზდი და დავუყვირე:  
— პირუტყვი, ძირს დაიხედე.  
სად ადგამ ფეხს!  
დავხარე, მოვწყვეტიე ლატუქის  
ფოთლი, პირთან მივიტანე.  
წყლიანი, ტკბილი და ქორფა იყო. ბოლოს ქონსაც მივაღწიეთ. ბე-  
რიკაცის ძაღლმა მისცო და ყუფის ნაცვლად, კუდის ქიცინით შე-  
მეგება. ჩვეულებრივი მწითელი ძაღლი იყო, როგორც ყოველ მე-  
ბაღეს ჰყავს, მაგრამ გონიერი. ქონის დაკეტილ კარზე დავაკაქინე,

ჯერ ნელა, მერე უფრო ძლიერ. ხმა რომ არავინ გამცა, მუშტით  
და ფეხით ავტეხე ბრაგუნი. უცებ შევკართი, მარინეუხს ხე-  
დან კი არ გაისმა, იქვე ახლოს მდგარ ბუჩქს იქიდან.

— ვინა ხარო, რა გინდაო?  
ბერიკაცს ხელში ბარი ეჭირა. ეტყობოდა, ლამითაც არ აჩე-  
რებდა ხელს და თავის ბოსტანს დასტრიალებდა. წელში მოხრილი  
მარინეუხ ჩვენს წინ შედგა, ხელები ძირს ჰქონდა და შევებული, სახე  
აწითლებული, გრძელი წვერი კი შევერცხლილი. ნამდვილი მე-  
ბოსტნე, დიდიდან დაღამებამდე წელგაუმართავად რომ შრომობს.

— მეგობრები ვართ,—ვუთხარი აჩქარებით.  
— მე მეგობრები არა მყავს,—მიპასუხა მარინეუხმ, ახლოს  
მოიწია ჩვენკენ და დაუმატა:—შენ კი გიცნობ... ალექსანდრო არა  
ხარ?

— დიახ, ალექსანდრო გახლავართ,—ვთქვი და ჯიბიდან რევოლ-  
ვერი ამოვიღე. მისთვის არ დამიმინუნებია, ისე წამოვიწყე:  
— მარინეუხ, სად არის განძი ჩაფლული?... გავინაწილოთ... თუ  
არ მეტყვი, მაინც ვიპოვნიო.

— ამ სიტყვებზე ნელ-ნელა ზევით ვწვედი რევოლვერს. მარინე-  
უხმ ხელი ამოქნია, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, რევოლვერი აქ  
არ გამოგადგებოა, თავი დახარა და ისე გვეითხა, გეგონებოდა დროს  
მოგებას ცდილობს და რაღაცის მოხაზრება უნდაო:  
— რა განძი?

— ვერცხლი, რომელიც გერმანელებმა გაიტაცეს.  
— რომელმა გერმანელებმა?  
— საღვთებმა.. ოკუპაციის დროს... აი, იმ თავადს რომ მოს-  
ტაცეს..

— რომელ თავადს?  
— ერთი სიტყვით, თავადს... აკი ამბობდი, თითქოს შენს  
ბოსტანში ჩაფლეს განძი?

— რომელ ბოსტანში?  
— შენს ბოსტანში, მარინეუხ...  
თავს ნუ იგდებ... კარგად იცი,  
სადაცაა განძი. გვითხარი და საქ-  
მე მშვიდობით დავამთავროთ.


— ამა... შენ თურმე განძი გინ-  
და!—თავი არ აუწევია, ისე დინ-  
ჯად თქვა მარინეუხმ.  
— ჰო, განძი.  
— წამოდით,— უცებ მტკიცედ  
გვითხრა ბერიკაცმა. — ხელად  
ამოთხრიო. ბარი გაქვს? არა, აი  
ეს ბარი ჯობია; შენს ამხანაგსაც  
მივცემ ბარს... წამოდით, რაღას  
უღგებართ...

— ცოტა შემაფიქრინა მისმა ქვე-  
ვამ. არ ვიცოდი, ასე ჩქარა თუ  
დაგვთანხმდებოდა. მაგრამ მაინც  
გავუყვი. სახლს უკან გავიდა ბურ-  
ტაუნით:  
— განძი... ახლავე გიჩვენებო,  
რა განძიცაა...—ბარი მოიტანა და  
რემიჯომს შეაჩეჩა. მერე ისევ  
სახლის უკან გავიდა, თან სულ  
იმეორებდა: — წამოდით... თქვენ  
განძი გინდათ... ახლავე მიიღებთ...  
ქონს უკან მიწა არ იყო დაბა-  
რული, ნაგავი ეყარა. ცოტა მო-  
შორებით რამდენიმე ტო იდგა და  
მათს ტოტებში ისეთივე მაღალი



— აი, მე და შენ რომ გავკვიდრდებით, მანქანას  
ვიყიდი, ერთად გავსხნათ ყავახანა.

კედელი მოჩანდა, როგორც ამ ბაღს ვი აურელიას მხრიდან ერთ-  
ყა. მარინეუხ ბილიკს გაჰყავდა, ხეებს გასცდა და ბაღის ბოლოში  
გავიდა, იქ, სადაც კედელი სწორ კუთხეს ქმნიდა. მერე მოულოდ-  
ნელად ჩვენკენ მოხრუნდა, მიწას ფეხი დაჰკრა და წამოიძახა:



— აი აქ ამოთხარეთ... აქ არის განძი ჩაფლული.  
 ხელად დავავლე ხელი ბარს და საქმეს შევუდექი, რემიჯო ბარით ხელში გარინდებული იდგა.  
 — რალას უყურებ,—მიუბრუნდა ბერიკაცი რემიჯოს,—შენც გაანძრე ხელი... დავიჯერო შენ არ გინდა განძი?  
 რემიჯო უცებ გამოცოცხლდა და გაშმაგებით დაიწყო თხრა.  
 — ნელა, ნელა... დრო ბევრი გაქვთ,—წამოიძახა მარინეზემ.  
 რემიჯომ მუშაობა შეანელა და უცაბედად ბარი ფეხზე დაიკრა. მარინეზემ ბარი გაუსწორა.  
 — აი, ასე უნდა გეჭიროს ბარი... მიწაში რომ ასობ, ფეხი დააჭირე, თორემ ვერაფერს ამოთხრი,—მერე დაუმატა:—სიგრძეც თხარეთ და სიგანეც... ორი მეტრი ფართობი საქმარისია... განძი აქ არის... სიღრმეში... მე კი წავალ, გავივლი.  
 — არა, შენ ჩვენთან დარჩები,—მტკიცედ გამოვუცხადე ბერიკაცს.  
 — ნეტა რისა გეშინია?—შემესიტყვა მარინეზე.—აკი ვითხარით, განძი თქვენია-მეთქი. სხვა რაღა გინდათ?  
 მე და რემიჯო თავს არ ვზოგავდით, გამალებული ვთხრიდით. თანდათან ღრმად ჩავდიოდით იმ ოთხკუთხედში, რომელიც ბარის წვერით შემოვხვან. მიწა ძალიან მაგარი იყო, ხულ ქვებსა და ხის ფეხვებს ხვდებოდა ბარი. ქვებს და ფეხვებს ზევით ვისროდი, მარინეზე იქვე იდგა და ჩემს ამოვადებულ ქვას ფეხის კვრით განზე ჰყრიდა.  
 — ნელა, ნელა... აი ეგ ფეხვი ამოვლიჯე... აი ეგ ქვა ამოვადე გრძელი, ჩაშავებული ძვალი ამოვადე ბარით. მარინეზემ ძვალი აიღო, დააკვირდა და ჩაილაპარაკა:  
 — ეს ძროხის ძვალია... ხომ ხედავ... უკვე რაღაცას ნახულობ. ვერ მივხვდი, სერიოზულად ლაპარაკობდა თუ ხუმრობდა. მიუ-

იყო და ფეხვიერი, მაგრამ არავითარი ყუთი, კოლოფი, ტომარა ან რაიმე ამის მსგავსი არ ჩანდა.  
 უცებ ბრაზი მომერია. რემიჯოს ვუთხარი, გვეყოფა, შეწვიტოთ თხრა-მეთქი, ორმოდან ამოვძვერი და მარინეზეს დავუტყვი:  
 — აბა, სად არის განძი? როგორც ხედავ, აქ არაფერია... გვაბამბულეებ, ბერიკაციო?  
 მარინეზემ პირიდან ყალიონი გამოიღო და მიპასუხა:  
 — მაშ განძი გინდა? კარგი. ამ წუთში გიჩვენებ განძს...—  
 თქვა ეს და ფარდულისკენ წავიდა.  
 აღარ გვაჩერე, ისე ვიყავი არაქათგამოცლილი, რომ გული გამიგრლიდა ამ საქმეზე. ფარდული აქამდე არ შემინიშნავს, რადგან კედლის ძირში იყო და ხეები ჰფარავდა.  
 — ბერიკაცმა მოუხვა,—გამაფრთხილა რემიჯომ.  
 — ნუ გეშინია, არსად წავა,—ვუპასუხე რემიჯოს, ბარს დავეურდნე და ოფლი მოვიწმინდე. მართლაც, ერთი წუთის შემდეგ მარინეზე ფარდულიდან გამოვიდა, ჩვენსკენ მოაგორებდა ურიკას. როგორც მომეჩვენა, ურიკა ნეხვით იყო სავსე. ორმოსთან რომ მოაგორა ურიკა, ნეხვი შიგ გადაუშვა, ჩახტა ორმოში და ხელებით სწორებდა.  
 — განძი სადღა?—ვკითხე გაუბედავად.  
 — აი, განძი. შეხედე, რა საუცხოო განძია!—ხველი, აყროლელეხული ნეხვი აიღო და ცხვირწინ მომიფშვინტა.—არა, მართლა ოქროს არა ჰგავს? ეს ძროხის ნაქნარია... შეხედე, რა განძია.. სად იპოვნე სხვას ასეთს? აი, ეს გახლავთ განძი.  
 მე და რემიჯომ ერთმანეთს გადავხედეთ. გამბედაობა მოვიკრიბე და რევოლვერი ისევ ამოვიღე, მაგრამ ბერიკაცმა ხელი ამიკრა.  
 — თუ ღმერთი გწამს, იქით წაიღე ეგ ხელი. ვერცხლი თუ გინდა, მე გასწავლი სადაცაა.



— მარინეზე, მოხარო, სად არის განძი ჩაფლული. გავინაწილოთ...

ხედავად ღამის სიგრილისა, ოფლის ხვითქი ჩამომდიოდა. დროდარდრო რემიჯოს გადავხედავდი. არც ის ზოგავდა თავს და მალე ქანცი გავარდა. ხულ ვთხრიდით და ვთხრიდით. თითქმის ერთი მეტრი სიღრმის სწორკუთხედი ამოვთხარეთ. ორმოს ძირში მიწა ნესტიანი

— სად?—ვკითხე გულუბრყვილოდ.  
 — მალაზიაში გახლავთ... ერთი-ორი ათასმანეთიანი ბილეთი მიეცი და რამდენიც გნებავს, იმდენ ვერცხლს მოგართმევნ. ერთი სიტყვით, მასხარად აგვივადო.



— მაშ ეს ორმო რისთვის ამოგვათხრეინე? —  
როდის-როდის ამოღრანდა რემიჯომ.

— სასუქის ორმო განლაგეთ... ძალიან მჭირდებოდა  
სასუქის ორმო. ზოდა, თქვენ ზედმეტი საქმე მომაშორეთ.  
გააგნებული ვიდექი, განადგურებული. იქნებ  
შევცდი, ბერიკაცს რომ არ დავემუქრე, ან არ ვესრო-  
ლე. მეც არ ვიცი, რა მომივიდა. იმდენი ხნის უშედე-  
გო ძებნის შემდეგ, იმედის გაცრუებამ ისე იმოქმედა,  
რომ ვერც კი გავბრაზდი.

— მაშასადამე, ამ შენს ბოტანში არავითარი  
განძი არ არის ჩაფლული და არც არასოდეს ყოფილა?  
თითქოს, გულით მიხდოდა მარინეზეს მტკიცედ  
ეთქვა, განძი არ არისო. მაგრამ იმ გაიძვერამ ასე  
მითხრა:

- კიდევაც არის და არც არის.
- ეს რაღას ნიშნავს?— ვკითხე გაკვირვებულმა.
- იმას ნიშნავს, რომ კეთი-

ლი გულით რომ მოხულიყავი,  
დღისით-მზისით და გეთხოვა, იქ-  
ნებ გვეპოვნა განძი... ასე კი, ნუ-  
რას უკაცრავად, განძი არ გან-  
ლავთ...

— მარინეზე, ღვთის გული-  
სათვის...

— რატომ არ შეგვრი? რა  
ეშმაკად გინდა ეგ რევოლვერი!—  
მითხრა ჩემკენ ნახევრად მობრუ-  
ნებულმა ბერიკაცმა.

— არ მინდა სროლა და ამი-  
ტომ არ გესვრი... მარინეზე, შუა-  
ზე გავიყოთ...

— გიჯობს მართალი თქვა:  
არაფრის მაქნისი ხარ, გამბედაობა  
არა გყოფნის და იმიტომ არ მესვ-  
რი... სხვა შენს ადგილზე, უსა-  
თუოდ მესროლა. აი, გერმანელები  
ისროდნენ.

— მე ხომ გერმანელი არა  
ვარ.

— თუ გერმანელი არა ხარ,  
ღამე მშვიდობისა!— თქვა და ქოხ-  
ში შევიდა, კარი ცხვირწინ მომი-  
ჯახუნა.

მიწა ძალიან მაგარი იყო,  
სულ ქვებსა და ხის ფესვებს  
უღებოდა ბარი.



— ოჰ, შენ ის არა ხარ,  
წუხელი რომ მოხველი გან-  
ძისათვის, რევოლვერი რა  
უყავი, სად დამალე?


ასე დამთავრდა განძის ძებნა. მეორე დღეს, ვითომც აქ არაფე-  
რიაო, მარინეზე ჩვეულებრივად მოვიდა ოსტერიაში და, როცა დღე-  
ნო მივართვი, წამოიძახა:

— ოჰო, შენ ის არა ხარ,  
წუხელ რომ მოხვედი განძისათ-  
ვის?... რევოლვერი რა უყავი, სად  
დამალე?

საბედნიეროდ, არავინ მიაქ-  
ცია მის სიტყვებს ყურადღება,  
რადგან, როგორც ზემოთ მოგახ-  
სენეთ, ბევრი ლაქლაქი უყვა-  
რდა და უმეტესად სისულელეებს  
როშავდა. მაგრამ მაინც სიფრთხი-  
ლე იყო საჭირო, კოკა მუდამ  
წყალს არ მოიტანსო. და, გარდა  
ამისა, დიდად არ მეპიტანებოდა  
ის ამბავი, რომ ბერიკაცმა გა-  
მასულელა და რემიჯომ ამ ამბის  
მოწმე გახლდათ. ის ბრძივი, ისე  
დამცინოდა, თითქოს თვითონ არ  
დაეჯერებინოს განძის ამბავი. ამი-  
ტომ, შემთხვევით ვისარგებლე და  
სხვა ოსტერიაში გადავედი სამუ-  
შაოდ. ახლა ტრასტევერის უბანში,  
სან-კოზიმატის მოედანზე ვმუ-  
შაობ. რემიჯომ კი იქვე დარჩა,  
სადაც მუშაობდა, სან-პანკრაციოს  
ქიშკართან.



თარგმნა  
ნინო სამუკაშვილმა



# ოცნება სრულდება!

კოსმოსში  
კვლავ აფ-  
რინდა გი-  
განტური  
საბჭოთა  
თანამგზავ-  
რი.

ამჯერად,  
კაბინაში,  
რომელიც  
კოსმოსში  
აღამიანის  
გასაფრე-

ნად არის მოწყობილი, იმყოფებოდა  
ორი ძალღი — „ბელკა“ და „სტრელ-  
კა“.

მეცნიერები სრულყოფილი რადიო-  
ტელეაპარატურით თვალყურს ადევ-  
ნებდნენ ცხოველთა მდგომარეობას  
და თან ტელეეკრანზეც ხედავდნენ  
მოქმედებას.

არა ერთი წრე დაარტყეს დედა-  
მიწის გარშემო ოთხფეხა „მკვლევარ-  
ებმა“. შვიდასი ათასი კილომეტრი  
გაიარეს მათ კოსმოსში. მეთვრამეტე  
წრის დასასრულს თანამგზავრს დე-  
დამიწაზე დაბრუნების ბრძანება მი-  
ეცა: მართვის სისტემამ და საშუხ-  
რუკო დანადგარებმა შესანიშნავად  
იმუშავეს. ციური ხომალდი და მის-  
გან განცალკევებული კაპსული, ცხო-  
ველებით, დედამიწაზე მშვიდობით  
დაეშვა.

ყველას ახსოვს, რომ პირველი თა-  
ნამგზავრები დედამიწასთან მოახ-  
ლოვებისას ატმოსფეროში დაიწვ-  
ნენ. ამჯერად, უზარმაზარ, ოთხთო-  
ნანახევრიანი წონის ხომალდს სპეცი-  
ალური თბოამცველი ჰქონდა, რა-  
მაც უზრუნველყო მისი უვნებლად  
დაშვება.

დედამიწაზე დაშვება გაშლილ ველ-  
ზე მოხდა. კოლმეურნეები, რომლე-  
ბიც შორიახლოს მუშაობდნენ, გაო-  
ცებულნი გარშემოგვიფენენ კოსმოსურ  
სტუმარს და დაკვირვებით ათვალი-  
ერებდნენ მას. მალე გამოჩნდა თვით-  
მფრინავი. მოვიდნენ სპეციალისტე-  
ბი. გახსნეს კარები: კაბინიდან  
„სტრელკა“ და „ბელკა“ გამოხტნენ  
და გახარებულებმა ყეფა დაიწყეს.  
არცერთი განაკაწრიც კი არ ჰქონდათ  
ოთხფეხებს. ძაღლებს შესანიშნავად  
გადაეტანათ ფრენა და სავსებით  
ჯანმრთელნი იყვნენ.


სრულდება ყველაზე ფანტასტიური  
ოცნებებიც კი. კაცობრიობის ისტო-  
რიაში პირველად, ცოცხალმა არსე-  
ებმა გადაიტანეს კოსმოსური ფრე-  
ნა და ისინი უკვე დედამიწაზე  
არიან.

ახლა მეცნიერები სწავლობენ იმ  
მცენარეთა და ცხოველთა მდგომარე-  
ობას, რომლებიც თანამგზავრებ-

თან ერთად კოსმოსში მოგზაურობდ-  
ნენ. მათ ხომ წნევის დიდი დაცემი-  
სა და, საერთოდ, მთელი რიგი სიძ-  
ნელეების გადალახვა მოუხდათ. კოს-  
მოსში ბევრი მავნებელი გამოსხივე-  
ბაა, ამიტომ საინტერესოა, სავსებით  
გამოდგა თუ არა დამცველი ჯავშანი.  
მართალია, მან ცხოველები საფრთ-  
ხისაგან იხსნა, მაგრამ ახლა გასარკ-  
ვევია, ხომ არ შეეპარა მას რაი-  
მე მავნე გამოსხივება. ჯერ ბიო-  
ლოგთა დაკვირვებები არ დამთავრე-  
ბულა. გაივლის დღეები, კვირეები,  
თვეები და ყველაფერი ნათელი იქ-  
ნება. მაგრამ ახლაც, წინდაწინ შე-  
იძლება ითქვას, რომ ყველაფერი სა-  
იმედოდ იყო მოწყობილი და ეს მე-  
ტად ახარებთ ექიმებსა და ბიოლო-  
გებს, რომლებიც თან უნდა გაჰყვნენ  
კოსმოსის მკვლევარებს.

ხშირად კითხულობენ: როდის გა-  
ფრინდება აღამიანი კოსმოსში? ამაზე  
ახლა შეიძლება ასეთი პასუხის გაეცე-  
მა — კოსმოსური გიგანტი თავის  
ოთხფეხებითა და მცენარეებით  
აღამიანის კოსმოსში გაფრენის წინა-  
პირობაა.

გაზ. „პიონერსკაია პრავდა“.



# მართონული გაცურვები

კუნძული, რომელზედაც ინგლისი მდებარეობს, ევროპისაგან განიერი სრუტით, ლა-მანშით არის გამოყოფილი.

1875 წლის 20 აგვისტოს, ამ სრუტის ინგლისის სანაპიროზე უჩვეულო გამოცოცხლება იყო. ცნობისმოყვარე მაცურებლები გარს შემოხვეოდნენ ბაწრით შემოფარგლულ სანაპიროს ერთ ნაწილს. სიტყვაძუნწი, შლიაპიანი ჯენტლმენები დინჯად მიმოდინდნენ ნაპირზე, წამდაუწუმ შინჯავდნენ წყლის ტემპერატურას და თან შეშფოთებული გასცქეროდნენ შორს, პორიზონტზე გამოჩენილ პატარა ღრუბლებს.

და ბოლოს, წყლის პირას, პატარა ქოხიდან მოხდენილი ვაჟკაცი გამოვიდა. თავზე ყურებამდე ჩამოფხატული რეზინის ქუდი ეხურა, თვალებზე უზარმაზარი დახურული სათვალეები ეკეთა, ხელები და ფეხები კი ვეშაპის ქონით ჰქონდა სქლად დაფარული.

ეს ინგლისელი სპორტსმენი ვები იყო, რომელმაც ისტორიაში პირველმა გადაწყვიტა ინგლისიდან საფრანგეთში ცურვით გადასვლა. გაისმა სასულე ორკესტრის მარში, ვები გამოემშვიდობა მეგობრებს, ხელი დაუქნია ხალხს, სწრაფად შევიდა წყალში და გასცურა. მოცურავეს თან გაჰყვა ნავეები და მოტორიანი გემი, რომლებსაც თვალი უნდა ედევნებინათ მისთვის. მეორე დილით, ეს უცნაური კორტეჯი, ზუსტად 21 საათსა და

45 წუთის ცურვის შემდეგ საფრანგეთის სანაპიროს მიაღწა. არაქათგამოცლილი, მაგრამ გამარჯვებით ბედნიერი ვები მაცურებლებმა ხელში აიტაცეს.

სრუტის სიგანე ამ ადგილას 30 კილომეტრია, მაგრამ ვებს გაცილებით მეტი (60 კილომეტრამდე) მანძილის გადალახვა დასჭირდა, რადგან დღე-ღამის განმავლობაში სრუტეში წყლის დინება რამდენჯერმე შეიცვალა. იყო შემთხვევა, როდესაც დინება მთლად უკან აბრუნებდა სპორტსმენს.

მას შემდეგ ბევრმა სცადა გაემორებინა ვების გმირობა, მაგრამ 36 წლის განმავლობაში ეს მასზე სწრაფად ვერავინ შეძლო. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სპორტსმენებმა ცურვის სახეობა «კროლი» ისწავლეს, ფრანგმა მეფუნთუშემ მიშელმა შეძლო ვების შედგის გაუმჯობესება. იგი მეტად ჯიუტი კაცი იყო. მან რვაჯერ სცადა თურმე ლა-მანშის გადაცურვა და რვაჯერვე ნაპირთან ახლოს მისული დინებამ უკანვე გამოიტაცა. ერთხელ კი, ხალხი უკვე წყალში აპირებდა შესაგებებლად შესვლას, რომ უკუქცევა დაიწყო და ღონეშიბდილი სპორტსმენი ისევ ზღვაში შეიტაცა.

ბოლოს, მიშელის ერთ-ერთი ცდა წარმატებით დამთავრდა. ლა-მანში 11 საათსა და 5 წუთში გადაცურა. ახლა ლა-მანშზე ყოველწლიურად

ეწეობა ტრადიციული გადაცურვა! 1958 წელს ამ შეჯიბრში ქალმა გამარჯვა. დანიელმა სპორტსმენმა გრეტა ანდერსონმა ორ ბეღელს შორის მანძილი მამაკაცებზე ოთხი საათით ადრე დაფარა.

ჩვენში წინათ ასეთი შეჯიბრებები არ ეწეობოდა, მაგრამ აქა-იქ სპორტის ენთუზიასტები მაინც ახერხებდნენ თავიანთი ინიციატივით დიდ მანძილზე ცურვას, თავის დროისათვის ნამდვილი გმირობა იყო ბათუმელი მეზღვაურის მამედ ბედიას საქციელი. გასული საუკუნის მიწურულში მან დიდ ღელვასა და ქარბუქში, ღამით, თანმხლები ნავეების გარეშე, ბათუმიდან ფოთში გაცურა.

დიდი ხნის განმავლობაში 50—60 კილომეტრის გაცურვა რეკორდად ითვლებოდა, მაგრამ ახლა ძველი მიღწევები მრავალჯერ არის გადალახული.

ერთ-ერთი სარეკორდო, მართლაც რომ საოცარი გაცურვა, 1953 წელს ექიმმა ფაიზულიანმა მოახდინა. მან მდინარე ამურის ცივ წყალში 28 საათი დაჰყო და შეუჩერებლად 200 კილომეტრი გასცურა.

მართონული გადაცურვების დროს, როგორც წესი, ტანს ქონის სქელი ფენით იხულებენ. რადგან, რაც არ უნდა თბილი იყოს წყალი, იგი, მაინც, სხეულის ტემპერატურაზე გაცილებით ცივია. რაც შეეხება დაღლას, გამოცდილი, ნავარჯიშები ადამიანისთვის ეს იმდენად საშიში არ არის.

**ლოყლაპია მუზეუმი**

ზოია პიტროვა      თარგმნა დ. ცაგარელმა

გაეშურა დილით, გუშინ,  
ლოყლაპია მუზეუმში.  
რომ დაბრუნდა, თქვა ამაყად:  
„მუზეუმში დარბაზს ნახავთ  
სამსარკმლიანს, ლამაზს, სუფთას.  
გარეთ ქუჩა მოჩანს სულ მთლად.  
მალს ავლებენ ღობეს მკვიდრად“...

ბავშვებს კლიერ გაუკვირდათ:

„სურათები რად არ ნახე,  
იმ დარბაზში რომ ეკიდა?“  
აქ გაცხარდა ლოყლაპია:  
„სურათები რას მიქვია?  
მართებზე, ჟურნალებში  
მე ისინი ვნახე ადრე“.

აი, ასეთ ლოყლაპიას  
მუზეუმი არას არგებს!

ყაღმა დერვიში დაიბარა და ჰკითხა: ამ კაცს რას ერჩოდით.

ეგა ყოფილა, ნახევარი რუფია მიეცა, ნეს მიეცი და ნახევარიც შენ დაიტოვე

— ამ სალახანამ უშვერი სიტყვებით გამლანძლა და მოთმინებიდან გამომიყვანა, — მიუგო დერვიშმა.

— ჰოი, დერვიშო! — შეუტია, ყაღმა. — დიდი დანაშაული ჩაგიდენია. ილბალი შენი, რომ ფაკირი ხარ, თორემ სამაგალითოდ დაგსჯიდი, ახლა კი, დანაშაულის გამოსასყიდად, მედუქნეს ნახევარი რუფია მიეცი.



დერვიში უარესად აენტო ყადის უსამართლო გადაწყვეტილების გამო. უცბად, ჯიბიდან ერთი რუფია ამოიღო და ყადს წინ დაუგდო, მერე ქოში გაიხადა, ღონიერად სთხლიშა კეფაში და მიიძახა:

— რაკი შენი მართლმსაჯულება

1.

ერთი დერვიში ხანოვანის საყიდლად დუქანში შევიდა, მედუქნემ სრულიად უმიზეზოდ ლანძღვა-გინება დაუწყო. დერვიშმა ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მერე, მოთმინების ფიალა რომ აეგსო, ქოში გაიხადა და მედუქნეს შიგ კეფაში სთხლიშა.

მედუქნე ყადთან გაიქცა, თავი შეაგდო და დერვიშს უჩივლა.

2.

ერთ კაცს თურმე თვალსა და ხელს შუა გაუქრა ფულით სავსე ქისა. მე-

ზობლის მეტი, აბა, სხვა ვინ მოიპარავდა. კაცი წავიდა და ეს ამბავი სასწრაფოდ ყადს შეატყობინა. ყაღმა


იმ კაცის მეზობლები დაიბარა, თანაბარი ზომის ჯოხები დაურთო და გააფრთხილა:

— ამ ჯოხებს გაუფრთხილდით, იცოდეთ, ქურდის ჯოხი ხვალამდე მთელი ერთი გოჯით დაგრძელდება.

ქურდი შიშმა აიტანა. შინ მისვლის უმალ ჯოხს ერთი გოჯი წააჭრა და გული დაიმშვიდა.

მეორე დღეს ყაღმა მეზობლები ისევ დაიბარა და ჯოხები მოსთხოვა, ერთმანეთს დაატოლა და რა ნახა — ერთი მათგანი დამოკლებული იყო. ჯოხის პატრონმა თავი ველარ იმართლა და დანაშაულში გამოტყდა.

ყაღმა ფული პატრონს დაუბრუნა, ქურდს კი საკადრისად დასაჯა.



3.

იყო ერთი მელოტი და წვერებ-ცანცარა ყადი. ერთ საღამოს, თურმე წიგნში ამოიკითხა; — ქაჩალი თავი და გრძელი წვერი სიბრიყვის უტყუარი ნიშნებიაო.

ყაღმა გუნებაში გაიფიქრა:

— ჩემ ქაჩალ თავს კი აღარა ეშველება რა, მაგრამ წვერს კი დავიმოკლებ.

ყადი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ მაკრატელს ვერ მიაგნო. ბოლოს ადგა და წვერი ხელეშეშა დაბლუჯა და სანთლის ალს მიუშვირა. წვერს ალი მოედო და ყადის თითები დასწვა, ყაღმა ხელი უშვა და სახე ისე შეეტრუსა, რომ წვერ-ულვაშის ნასახი აღარ შერჩა.

ყადი ძალიან დაღონდა, რადგან, რაც წიგნში ამოიკითხა, უკლებლივ აუზდა.



ერთმა ხელმწიფემ თურმე მარჩიელს ჰკითხა — რამდენი წლის სიცოცხლე დამრჩენიაო. მარჩიელმა უპასუხა — ათისაო. ხელმწიფე ამ ამბავმა ძალიან დააღონა. დასწულდა და ლოგინად ჩავარდა.

მას ერთი ჭკვიანი ვეზირი ჰყავდა. ვეზირი ადგა, მარჩიელი ხელმწიფეს სარცელთან მიჰგვარა და ჰკითხა:

— შენ თვითონ რამდენი წლის სიცოცხლე დავრჩენია?

— ოცისა, — მიუგო მარჩიელმა.

ვეზირმა ანაზადად ხმალი იშოშვლა და მარჩიელს ხელმწიფის თვალწინ თავი წაასხიბა.



საქართველო  
საბჭოთა  
საქართველო

ხელმწიფეს ვეზირის მოხერხება და იმ დღის შემდეგ მარჩიელობის მოეწონა, გუნება გაეხსნა, მოიკეთა ალარაფერი სწამდა.

ნახ. დ. ხახუტაშვილისა თარგმან კარლო ტაბატაძემ



ეს არაჩვეულებრივი ხელოვნება ქალაქ ბრუნეოს მახლობლად, სამხრეთ ტიროლში, პუსტერიის ხეობაში დაიბადა.

მისი შექმნელი ტიროლის გლეხები არიან. მხატვრობისათვის მათ გამოიყენეს ყველაზე სათუთი, მყიფე მასალა — ობოზას ქსელი. ქსელს მხატვრები აგროვებდნენ ხეებიდან, სახლის ჭერიდან და კუთხეებიდან.

ეს სახალხო მხატვრები ყოვლისშემძლე ოსტატები იყვნენ. ისინი ხატავდნენ ეკლესიისათვის ფრესკებს, აკეთებდნენ გრავეიურებს ხეზე, ორნამენტებს ფრინველის ფრთებისაგან...

პუსტერიის ხეობის ერთ-ერთი ოსტატი ელიას პრიუნერი, რომელმაც «გამოიგონა» მხატვრობა ობოზას ქსელზე. მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობდა.

მთაში გრძელი ზამთარი იცოდა. ქარბუქი მძვინვარებდა და ელიას პრიუნერს ბევრი ღრო ჰქონდა, რომ შეექმნა «ტილოები» ობოზას ქსელზე.

ჩვენამდე მოაღწია ობოზას ქსელზე შექმნილმა 100-მდე მინიატურამ. ზოგი მათგანი შესრულებულია აკვარელით, ზოგი გრავეიურის მსგავსადაა გადაბეჭდილი ობოზას ქსელზე, ზოგი — ჩინური ტუშითაა მოხატული.

ტილოების მაგივრად იყენებდნენ ან ობოზას ქსელს, ან აბრეშუმის ჭიის მიერ გაშროსული გამჭვირვალე ძაფებს. ჩვეულებრივი სისქე აბრეშუმის ძაფისა 13-25 მიკრონი, ხოლო ობოზისა — 0,03—2-3 მიკრონამდე.

სანამ ობოზას ქსელს «ტილოდ» აქცევდნენ, ასუფთავებდნენ და სჭიმავდნენ მუყაოზე. მეტი

## მხატვრობა ობოზას ქსელზე

გამძლეობისათვის კი წყალში გახსნილი რძით ქლინთავდნენ.

ობოზას ქსელზე შექმნილი სურათების უმრავლესობა აკვარელით შესრულებული მინიატურებია.

სურათის ნაწილი საღებავებით არ ივარებოდა, იქმნებოდა მხოლოდ გამჭვირვალე ფონი. ეს ხაზს უსვამდა მასალის არაჩვეულებრივობას. მინიატურების კუთხეში მხატვარი ხატავდა პატარა ობოზას, იმის სიმბოლოდ, რომ «ტილო» ობოზას ქსელისაგან იყო გაკეთებული.

ნახატები იმდენად თხელია, რომ ძნელი დასაჯერებელია თუ იგი ფუნჯითაა შესრულებული და არა კალმით. მაგრამ, ნუ დაგვაგვიწყდება, რომ კალამი ობოზას ქსელს დახვედიალბათ. მხატვრები ბეკასის უწვერილესი ფრთებისაგან ნაკეთები ფუნჯებით მუშაობდნენ.

მხატვრობა ობოზას ქსელზე გვაკვირვებს თავისი გამჭვირვალეობით. სურათს რომ სინათლეზე გავხედოთ, ნახატს უკუღმა მხრიდანაც დავინახავთ სურათების საშუალო ზომა თანამედროვე საფოსტო ღია ბარათების სიდიდისაა. თითქმის ყველა მათგანი რომელიმე ცნობილი ნახატის ასლს წარმოადგენს.

პრიუნერს მიმდევრები გაუჩნდნენ: იოჰან ბურგმანი და იოჰან პრიუნერი. მან პირველმა სცადა ობოზას ქსელზე გრავეიურის შექმნა. მისი შესანიშნავი მხატვრობა «მადონა ბავშვით» ალბათ ყველაზე ძველია ჩვენამდე მოღწეულ გრავეიურებიდან.

ობოზას ქსელზე მხატვრობამ მიიზიდა სხვა მხატვრებიც პუსტერიის ხეობიდან და ზალცბურგიდან.

ბურგმანის გარდაცვალების შემდეგ მხატვრობა ობოზას ქსელზე თითქმის სრულიად გაქრა და მხოლოდ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აღორძინდა ჩრდილოეთ ტიროლში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ერთმა ამერიკელმა ქალიშვილმა ჟურნალში წაიკითხა ამ უნიკალური ხელოვნების შესახებ და სცადა დაუფლებოდა ობოზას ქსელზე მხატვრობას. მას პირველი სურათის შესაქმნელად 2 წელიწადი დასჭირდა. სამაგიეროდ, იგი შესანიშნავად დაეუფლა ამ ხელოვნებას.

ამ უკანასკნელ ხანებში კი ვენაში მოეწყო თანამედროვე ავსტრიელი მხატვრის იუსტინუს სოდანის მიერ ობოზას ქსელზე შესრულებული მინიატურების გამოფენა.



### მუსიკა, ცეკვა და მცენარეები

გასული წლის ერთ-ერთ ნომერში ჩვენ უკვე მოგიყევით ინდოელი მეცნიერების: სინგხისა და პანიახის შესახებ. ეს მეცნიერები ამტკიცებდნენ,



რომ მუსიკა მცენარეთა ზრდა-განვითარებას უწყობს ხელსო.

მსგავსი ცდები ახლახან კალიფორნიის ერთ-ერთ კოლეჯშიც ჩაატარეს. ექსპერიმენტატორმა ლორმა ცდისათვის პარკოსანი მცენარეები აირ-

ჩია და მიზნად დაისახა, არა მარტო შეემოწმებინა, მართლაც მოქმედებს თუ არა მუსიკა მცენარეებზე, არამედ გამოეკვლია, კერძოდ როგორი მუსიკა უფრო მეტად უწყობს ხელს მათ განვითარებას.

მეცნიერმა პარკოსანთათვის ოთხ ნაწილად დაჰყო. ერთ ნაკვეთზე ლორი ყოველთვის შობენის მუსიკას უკრავდა, მეორეზე ჯაზის რიტმული მელოდიები გაისმოდა, მესამეზე კამერული მომღერლების ლირიკული სიმღერები სრულდებოდა, მეოთხე ნაკვეთი კი ჩვეულებრივ მდგომარებაში ე. ი. უმუსიკოდ იქნა დატოვებული. ინდოელ მეცნიერთა დასკვნები საესებით დადასტურდა. ჯაზის ჰანგების ქვეშ მზარდ-

მა, მცენარეებმა ტანი საოცრად სწრაფად აიყარეს უზომო ყვავილი გამოიღეს და ნაყოფიც ბევრი მოიხსნეს.

ტკბილმა, ლირიულმა სიმღერებმა მცენარეებზე უმნიშვნელოდ იმოქმედა, თუმცა, ბუნებრივ პირობებში დატოვებულებთან შედარებით, მაინც სწრაფად გაიზარდნენ.

მაგრამ სინგხსა და პანიახსაც არ შეუწყვეტიათ ცდები. ახლა ისინი იკვლევენ თუ როგორ მოქმედებს მცენარეებზე ცეკვა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ პანიახი არა მარტო მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკოსი და ბიოლოგია, არამედ ფლეიტაზე განთქმული დამკვრელი და ცოცხალი მუსიკანტია. და აი, რამდენიმე კვირის განმავლო-

ბაში; თავის მცენარეებისათვის, იგი თურმე ინდურ ცეკვას ასრულებდა. და იცით რა მოხდა? ის მცენარეები, რომლებიც ცეკვას „უყურებდნენ“, სხვებზე 15 დღით ადრე აყვავდნენ და თან ჩვეულებრივზე თითქმის ნახევრჯერ სქელი ღერო გაეზარდათ. თითქოს დაუჯერებელი ამბავია! მაგრამ ეს ფანტაზია არ არის. სინგხმა და პანიახმა თავიანთი ცდების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს მეტალოების საერთაშორისო კონგრესზე და მათ მოსაზრებებს წინააღმდეგობა არ გამოუწვევია.

ზოგნი ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ცეკვის დროს წარმოშობილი ინფრაბგერების რხევა ახდენს გავლენასო. მაგრამ გადაჭრით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება. ცდები გრძელდება და მომავალი დაგვანახებს ამ საოცარი მოვლენების მიზეზებს.

### ქუჩის სამყაროში

#### უდიდესი ლაინერი

ამა წლის მაისში, საფრანგეთში წყალში ჩაუშვეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ლაინერი — „ფრანსი“. იგი ბრეტანის გემთმშენებლებმა ააგეს. საფრანგეთის სავაჭრო-სამგზავრო ფლოტის ახალ გიგანტს წავრძელებული, ლამაზი ფორმა აქვს, სიგრძით 315,5 მეტრია, სიგანით 33,7 მეტრია წონით — 5.500 ტონა; საათში 18 კილომეტრს აწვითარებს. სამანქანო განყოფილებაში დადგმულია 160 000 ცხენისძალის ტურბინები. გემს ცხრა სართული აქვს და 2000 მგზავრის გადაყვანა შეუძლია.

#### ფანჯრის მინა არ ტყდება

ინგლისში, ახალი მასალის პოლიეთილენისაგან დაამზადეს ფანჯრის მინა, რომელიც არ ტყდება. ამ მინას უნარი აქვს გაიწელოს და შემდეგ ისევ მიიღოს თავისი ძველი ფორმა და ზომა. პლასტიკური მინის ძირითადი უპირატესობაა ის, რომ იგი არ ტყდება — მას თვით ქვის მირტყმაც კი არ აზიანებს. ამას გარდა, ჩვეულებრივი მინისაგან განსხვავებით, იგი ატარებს ულტრაიისფერ სხივებს. ამ სურათზე ნაჩვენებია თუ როგორ ჩაზნიქა მინა მუჭის მირტყმამ.



#### მომდგომა

რევაზ ბერაძე

რა შემოდგომა დაგვიდგა ხვავიან-ბარაქიანი, აქეთ ატამი კობტაობს, იქით — გიშერა ქლიავი.

ვაშლის ხე მორცხვობს ბაღიდან. ზვარს სიხარულით უტყერის. შემოდგომაა, აგრილდა, ბიჭო, დავკრიფოთ ყურძენი!


# მეგობრები

ტექსტი კ. გოგიაშვილისა

ფოტო გ. ჭელიძისა




1



5

1. მურიკა და ღრუტუნა მეგობრები არიან, ერთად დასუნსულებენ, სპორტი უყვართ ძალიან.



2



6

2. ყოველ დილით მინდორში ძმურად ერთად ხარობენ, ილეებიც იციან, ჭიდაობას სწავლობენ.

3. ღრუტუ ღონიერია, ძალი ხერხიანია, მურას ღრუტუ მოგვერდით ვერ გადაუყვანია!



3




7


4. ფეხში პირი ჩაავლო, ჰქაჩაეს აქეთ-იქითა, არ იქნა და ღრუტუნა ველარ წამოიკიდა!

5. ხან მოგვერდი უნდოდა, ხან მუცელი მოფხანა, და მოქიშპე მურიკამ წელშიაც ვერ მოხარა.

6. ღრუტუმ ბევრი უთმინა აბეზარა პარტნიორს, უკვე ილეთს ამზადებს, თავით უნდა ასწიოს.



4



8

7. და ასწია ღონიერად, ღვას ჯანიან ტახივით, მეგობარი მურიკა დაახეთქა კვახივით!

8. მოჭიდავე საბრალო, გდია გაოგნებული, ჩვენი ღრუტუ დინგაძე მოდის გამარჯვებული!

### გედები რიგში დგებიან


თოვლით თეთრი გედები ლოზანში ქალაქის ბენუაის ისეთივე განუყოფელ ნაწილად მოგვიყვებოდა, როგორც ცისფერი ყენევის ტბა და ალპების დიდებული განშტოებები. მაგრამ რა ხდება აქ ზამთრობით, როცა ტბა იყინება, მთები თოვლით იფარება, და ტურისტები, რომლებიც გედების დაპურებით ერთობიან ხოლმე, მიმრიფანტებიან? ამ დროს, თურმე, გედები მთლიანად გადადიან ქალაქის მკვიდრთა სრულ კმაყოფაზე.

მთელი ზამთრის განმავლობაში, ყოველ დილით, გედები ყელმოღერებულნი მიემართებიან საფუნთუშეებისაკენ. ისინი რიგში დგებიან კარების წინ და მოთმინებით უტდიან თუ როდის გადმოუყრის მათ ნამცეცებს მეფუნთუშე ან რომელიმე მყიდველი.

### ალექსანდრის სვეტი

ლენინგრადის მრავალრიცხოვან არქიტექტურულ ანსამბლებს შორის ერთ-ერთი ულამაზესთაგანია სასახლის მოედანი, რომელსაც აკვირგვინებს ცადაწვდენილი ალექსანდრის სვეტი. იგი 1834 წელს აღმართეს ნაპოლეონზე გამარჯვების აღსანიშნავად. სვეტის პროექტის ავტორი იყო არქიტექტორი მონფერანი.

ორ წელიწადს მიმდინარებოდა ფინეთის ყურესთან სპეციალური გრანიტის ლოდის გამოტყვება ძალაყინებითა და ურობით. ამ ლოდის გამოთლილ იქნა მსოფლიოში ყველაზე მაღალი—47,5 მეტრი სიმაღლის მონუმენტი. 1400 ჯარისკაცმა ბლოკების რთული სისტემის საშუალებით სვეტი კვარცხლბეკზე ააგორა, ხოლო შემდეგ აღმართა.



თითქმის 130 წელია ურყევად დგას ეს გიგანტური სვეტი, რომელსაც მხოლოდ საკუთარი სიმძიმე აკავებს წაქცევისაგან, სიმძიმე კი 800 ტონას აღემატება. დროთა სელამ ბრწყინ-

ვალედ დაადასტურა მონფერანის ვარაუდი. ვერც საარტილერიო ჭურვების აფეთქებამ, ვერც საავიაციო ყუმბარების აფეთქებათა ტალღებმა ვერ შეარყიეს ბუმბერაზი სვეტი.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ ამ ძეგლის გასწვრივ შემდეგ, ერთმა პეტერბურგელმა ქალბატონმა თავის მეეტლეს აუკრძალა მისი ტარება სასახლის მოედანზე იმის შიშით, ვაი თუ ძლიერ ქარში სვეტი გადმოყრავდეს და ქვეშ დაშლანოს.

### განებივრებული ზაზუნები

თვით ბერის მწახველი ტურისტებიც კი, როცა ისინი ენადის (შვეიცარია) ეროვნულ პარკში მოხვდებიან, გაოცებულნი დამუხრუჭებენ ხოლმე მანქანებს უცნაური საგზაო ნიშნის წინ. ეს ნიშანია სამკუთხედი, რომელსაც წითელი არშია აქვს შემოვლებული, ხოლო შუაში პატარა ცხოველის სილუეტია.




მაგრამ დიდხანს როდია საჭირო თავის მტკრევა ამ თავისებური საგზაო ნიშნის გამო-საცნობად. საკმარისია მანქანა შეჩერდეს, რომ მყისვე ათობით ზაზუნა შემოეხვევა გარს. მათ ოდნავათაც არ ეშინიათ ადამიანების. პირიქით, ხალისით ჩერდებიან ფოტოაპარატის წინ და ხელიდან ღებულობენ სასუნსავს.

ზაზუნები მიჩვეული არიან ადამიანთა ყურადღებასა და მზრუნველობას; მათ სიცოცხლეს სახელმწიფო იცავს, და იცინიც ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მათ ვერაფერს მიაყენებს ვნებას, ამიტომ სრულიადც არ ჩქარობენ გზიდან გადასვლას, რათა გაატარონ მანქანა. ტყუილად როდია მათ საცხოვრებელ ადგილებთან დადგმული საგზაო ნიშნები: «ყურადღებამ, მძღოლო! აქ ზაზუნებია!»

### ჰინის წიგნები

ჩინეთში დამწერლობა უძველეს დროშივე იყო ცნობილი. მაგრამ, ვიდრე ადამიანი წიგნის ბეჭდვას ისწავლიდა, ბევრმა საუკუნემ გაიარა

თ-ვედაპირველად წიგნების გადაწერა ხელით ხდებოდა. ეს კი, ჩინური დამწერლობის მეტად რთული ტექნიკის გამო, ძალზე დიდ ჯალას და ბევრ დროს მოითხოვდა. **ქინელები** ვარდა ამისა, გადაწერისას მრავალი წესი დომა იპარებოდა. რათა შექმნილიყო სტანდარტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა შეემოწმებინათ დედანთან ასლის სისწორე, იმპერატორ ლინ-დის დროს (168-189



წლები) რამდენიმე უფრო ძვირფასი ტექსტ-ქვაზე იქნა ამოკვეთილი. სარწმუნოებრივი შუღლის გამო ქვის წიგნებს ხშირად მალავდნენ გამოქვაბულებში, რომლებსაც მერე ამოქოლავდნენ ხოლმე, ან მიწაში ღრმად მარხავდნენ. სწორედ ამის წყალობით იქნა ისინი დღემდე შენარჩუნებული.

გათხრების შედეგად ჩინეთში რამდენიმე ადგილას იქნა აღმოჩენილი ეს უძველესი ისტორიული ძეგლები. დაახლოებით სამი ათასამდე თლილი ქვა, ზედ ამოკვეთილი ტექსტებით, აღმოაჩინეს გამოქვაბულებში, ხოლო 1957 წელს ოთხი ათასზე მეტი—მიწის ქვეშ იპოვნეს.

გამოირკვა, რომ ქვაზე ტექსტების ამოკვეთასთან დაკავშირებული მუშაობა განუწყვეტლად მიმდინარებდა 1300 წელი—VII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის ბოლომდე.

### ვინაა მართალი?

ჯერ კიდევ 1877 წელს იტალიელმა ასტრონომმა სკიავარელმა აღმოაჩინა მარსზე ერთნაირი სივანის, ათასობით კილომეტრზე გაჭიმული სწორი ზოლები და გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი შექმნილია გონიერ არსებათა ხელით. ამ ზოლების პირველი ფოტოსურათები მიიღო გ. ტინოვმა (ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) 1909 წელს. ფერადი ფოტოგადაღებები ჩატარდა 56 მილიონი კილომეტრის სიშორეზე.


სწავლულთა შეხედულებები მარსზე «არხების» არსებობის შესახებ ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასტრონომილანკოსი გ. ტინოვი, ამერიკელი ასტრონომი ლიუელი და სხვები ამტკიცებენ, რომ მარსზე აღმოჩენილი სწორი ზოლები წარმოადგენენ ხელოვნურ ნაკვობებს, რომლებიც სარწმუნოადაა განკუთვნილი. ხოლო ასტრონომები: გრინი, იუნგი, ბერნარდი ამტკიცებენ წინააღმდეგ გამოდიან. ვინაა ამათ შორის მართალი?

მსოფლიოში პირველი საბლანეტაშორისო ავტომატური სადგურის გაშვება იმედს იძლევა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა გადაწყდება ეს საინტერესო დავა, რომელიც თითქმის ერთი საუკუნეა, მიმდინარეობს მეცნიერთა შორის.





დახაზეთ ეს ფიგურები ქალღმერთიდან ხელის აულებლად. ერთხელ გავლებულ ხაზზე ფანქარი მეორედ ზრ გაატაროთ.



შეადგინა შ. მარკოზაშვილმა

**ვერტიკალურად:** 1. კურორტი საქართველოში; 3. სახელმწიფო აფრიკაში; 4. კუნძული წყნარ ოკეანეში; 5. ეგვიპტელთა ქალღმერთი; 6. ტკბილეული; 7. ამერიკელი მწერალი; 9. ბოლშევიკური გაზეთი; 14. მცენარეთა სამყარო.

**ჰორიზონტალურად:** 2. საუკეთესო, კარგი ანუ... 5. დამუხტული ატომი; 6. არაბული წელთაღრიცხვა; 8. ფრინველი; 10. თანხმობის

ნაწილაკი; 11. იტალიის სპორტული კლუბი; 12. პოლონეთის სახ. რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო; 14. ცხოველი; 15. რკინის საფუძველზე მიღებული უნახშირბადო შენადნობი; 13. სამხედრო ნადავლი; 17. ფრანგი მწერალი; 18. უმოტორო საფრენი მანქანა.


შეადგინა ლანხუთის რაიონის სოფ. ნიკეზიანის საშ. სკოლის მე-9 კლ. მოსწავლე ფ. ხვანიძემ.

გამოცანა


მუდამ სანდოდ  
სახლს დარაჯობს,  
არცა ჰყეფს, არც იკბინება.

მაგრამ სახლში  
არვის უშვებს,  
ვისაც არ აქვს შესვლის  
ნება.

ნ. კლდიაშვილი



თავსატახნი



ფიცრის ეს ნაჭერი საჭიროა გაიყოს 6 თანატოლ ნაწილად.

შეადგინა ვარდისუბნის საშ. სკოლის მე-5 კლ. მოსწ. ვ. ბაძგარაძემ.

გამოცანა

სუთში წისქვილის ქვასავით შავი ფიცარი ტრიალებს და ჩიტის წვრილი ნისკარტით ზედ სარეკლა ტრიალებს.

ალბათ თქვენ ბევრჯერ დაგატკბოთ მისმა ნაზმა და ტკბილმა ხმამ. იცით? — ასეთი წისქვილი ქალაქშიც ბევრჯერ გინახავთ.

ჯ. ნუფარიძე




პასუხები

შემოტრფილთ ჩაიხვიტრფი



1. ალექსანდრია;
2. ატმოსფერო;
3. ორინოკო;
4. იორდანია;
5. ობი;
6. იალსკი;
7. ისლანდია;
8. ინტიდა;
9. არარატი;
10. მოსფერო;
11. არხანგელ-ონტარიო;
12. იაკა;
13. ანტარქიზმი;

ჩემსი

აკაკი წერეთელი



გეგმა -  
გეგმა





# დედა ენის ფუნქციებიდან

ნახატები  
გ. თოთბაძისა

## ფუნქცია და მხარე

ზამთრის დროს დასრულებული ფუნქცია რა წყალში ჩაივარდა და იხრჩობოდა. ახლო ხეზედ დედა მტრები იჯდა. თვალის შეგასწრო ფუნქციის გაქრებინას. აფრინდა, მოგვლდა ნეკრისა და დიდი ფოთლი და ჩაგვლო წყალში. ფუნქცია ზედ შეედა და წყალში ნაპირზედ გამოიყო. გაიშრო მუხუდს ზედა ფრთები, აფრინდა და მზარელი მზელით გასწია თავისი სისასუნა. გავიდა რაზმდინე დედა, ბარტყუნისათვის საჭურის ხიდათ დაღაღღალი მტრები ხეზედ იჯდა და

სთვლენდა. ამ დროს მონადირე მეთაირა მტრებსა. ამოეფარა ჩირაგვებსა და დუბინა თიფი. ამას თვალის მოკრა ახლო ყვირილზედ შეკლავს ფუნქციას. აფრინდა, სწრაფად მო-

ურა მონადირის უნიდან და მარჯვენა ხელზედ უხინა სწორედ ამ დროს, როცა ჩახშავს აცეხინდება. მონადირის სიწრაფისაგან ხელი აუკანკალდა და ტყევა ასედა მტრებსა.



## რაიონი მონა

იყო ერთი ლატკი გლეხი. მის ბებზედ არ მონადირეობდა არც სახანო, არც სათესი, არც სახლი და არც კარი. რაც ჰქონდა, სულ ტანზედ იცემა. წავიდა ქალაქს სამუშაოდ და გახაზედ ერთი ქოლა ცრბო იპოვნა. აიღო ქოლა, ყურში ჯიბი გაუყარა და მზარზედ გაიღო. მიდის გზაზედა და თან ასე იცეხებოდა: „ამოხედა ლეჩომა და ჩემი გახილდება ინება: ჩავად ქალაქში, ცრბოს მანეთად გავყავი, იმ ფულთი თორმეტ სამსაღ ვარიცას ვიყიდი, დავხრდი, დავკოლავ და ვწერებოდა დაეასტუებ: შერი ჩავიყვან ქალაქს და თითოს ათ-ათი შორად ვავყიდი. ნაშრონი ფულთი გავიყვან ციყვი, დაეასტუებ და ოროლ მანეთად ვავყიდი. შენდებ სახარი ხბორებს ციყვი, ხარებად დავხრდი, ვავიძარ-

თავ ურემსა, გუთანსა; მოვინა, მოვოსავ და აშენებელი შევიქნება.“ ამ ფიქრში რომ არის, ვითომც ურემს შემა კიდედ დაეღო და ქალაქს გასასყიდად მიატეს. აჲ ზომა მირი მძელიად ვაიციას, ხმა უნდა მივცეო“, და შესძახა: „პაპო, და თან ჯობიე მოუქნია. ცრბოს ქოლა. ნი ძირს დაეცა, ლუკა-ლუკმა იქცა და ცრბოც სულ დაიღვარა. დარჩა ჩვენი იცეხებიანი გლეხი ისეთივე ლატკი, როგორიც იყო.

## ათს სკანოლი

ნათო პატარა ციყვი ბეჭერი იცურავდა თოვლზედ, შერი გწითლდებოდა და გახარებულმა მამასთან მიიბრუნა და უთხრა: „უჲ, მამოლი, რა კარგია ზამთარი, ნეტავი სულ ზამთარი, იყოს!“ — შერი სურვილი

ჩემს უბის წიგნი ჩასწერეო, უთხრა მამამ. ნიკომ ჩასწერა. დღეც ვახაზებდი. ნიკომ პეპლებს ბეჭერი სცა. ბეჭერი ყვირილი მოჰკრივდა და ლაზმა კონები შექრა; შერი მამასთან მიიბრუნა და უთხრა: „რა მშვენიერია ეს ვახაზებუდი, ნეტავი სულ ვახაზებუდი იყოს!“ მამამ ნიკოს ეს სურვილი თავის უბის წიგნი ჩააწერინა.

მოვიდა ხაზებუდი. ნიკო და იმის მამა საცაგლი ერთად წვიდნენ. ბავშვი შიშლი დღე დიდს სიხარულში იყო; ხან ხელფურს ხიდავდა, ხან წყალში ბანაობდა, ხან მარწყუს პკრეფავდა და ხან მწყრებს დას-



## მეგობარი და მშობელი

იქყო ერთი დედაბერი, ჰყავდა ორი გოგო. ყოველთვის მამლის ციცილისა აცილებდა გოგონებსა და ერთ მთვანის ჯარაზე ართვიდებოდა ძევისა, გოგონის თითის ბარზე. მოეგობს დღე ადგომა გზარებოდა და სთქვებს: „შედი მამალო მოველო და ჩვენი ბებერი ისე აღრევილარ გავგვიღებებს.“ ადგნენ და მოკლეს. მამამ ურთის მოუვლიდა:



დედა. საღამოზედ რომ მამასთან მივიდა, უთხრა: „უჲ, დღეს რამდენი

## მეგობარი და მშობელი

ბრალი პეპელი დაათო და გააბრუა მამა მიგებარა ცეწვილი, დიოცარი და იამა. ადგონით უთხრა პეპელას: „თავს რითი ირჩენ შენა? როგორ არ გლაგებს მიწელი დღე მოუსვენარი ფრინა?“ ბებულმა უთხრა: მინდორში

ბებრის უძილობა სქირდა, გვიან ადგომისა გვიან და გოგონებს მამ-

## ნაკრძეული

გისთავი იყავი რა კარგი იტყობი და, რომ შენდა ზაფხულში ყოფილიყო! ეს სურვილიც ნიკოს მამამ თავის უბის წიგნი ჩააწერინა. დღეც წერდებოდა. ბავშვი შიშლი ხალხს სასი იყო; ფრთებში დამარხებულ მტრებს გასტყუებდნენ. ნიკომ თავისთან რიგში ბეჭერი ავიდა და საღამოთი მამას უთხრა: „შემოდომა ყველა დროს სურვილები!“ მამამ მამამ უბიდგან წიგნი ამოიღო და ნიკოს წაუკითხა ყველა ამის ჩაწერილი სურვილი. ნიკო პეპელას ხაზად მითხრა, რომ ყოველი დრო თავის რიგზედ კარგი ყოფილა.

გოგონებო მე უბრუნებელი: იქ ყოველთვის ვაზოლა ჩემ სახარო, სასურველიაო. რაც დღე მიტეს ტკბილად ვატარებ, ჩემს ნებაზედაც დავფრთხილებ. მამამ დღეობისა არა ვარ, გამაშვი. მშობელი ჩემი მამაა. ყმაწვილმა ხელი გაუწეა, ვაფრინდა და, თითქო ნინად მადლობის, თავს ეცლებოდა ხელსა.

